ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## დავით უსუფაშვილი: „ლევან გოგიჩაიშვილთან შერკინება სასიამოვნო იქნება“



გვ.5

16 აგვისტოდან

თედორე დოსტოევსკი

**ყმაწვილი**

ტომი 1

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი





ოთხშაბათი, 17 აგვისტო, 2016 №194 (7120) ფასი: 50 თეთრი

# გია ხუხაშვილი: „ქართული ოცნება“ დიდი საფრთხის წინაშე დადგა“



გვ.2

ყველა უნდა შევეგუოთ იმას, რომ არჩევნები 8 ოქტომბერს არ დამთავრდება. პირიქით, 8 ოქტომბრის მერე დაიწყება მთავარი. ქვეყნის უმეტეს რეგიონებში მეორე ტურები იქნება, სადაც „ოცნებას“ ამ კანდიდატებით ძალიან გაუჭირდება.





## რამაზ საყვარელიძე: „ბევრ ოლქში მეორე ტური იქნება, რაც დემოკრატიის უტყუარი ნიშანია“



გვ.3

## არჩილ გამზარდია: „ივანიშვილი პარტიების ასეთ აგრესიას არ იმსახურებს“



გვ.3



ისინი უფრო გადაეკიდნენ ივანიშვილს, ვიდრე აკრიტიკებენ

## ლადო ბედუკაძე: „ხელისუფლებას ახალ სიურპრიზებს მოვუმზადებთ“



გვ.4

## ლევან ბერძენიშვილი: „ბედუკაძემ, კვარაცხელიამ და პუტინმა არჩევნებში ერთად უნდა მიიღონ მონაწილეობა“



გვ.2

## მირიან მირიანაშვილი: „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალებს შორის ახალი გარიგებაა“



გვ.4

## ეკა გიგაური: „ცენტრისტებზე“ პასუხისმგებლობა ცესკოს ეკისრება“



გვ.3

ჩვენი სისტემა არ არის მზად ასეთი გამოწვევებისთვის

ISSN 1987-9385

## დასავლეთი თურქეთს იოლად არ დათმობს



გვ.5

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# გია ხუხაშვილი: „ქართული ოცნება“ დიდი საფრთხის წინაშე დადგა“

**ყველა უნდა შევეგუოთ იმას, რომ არჩევნები 8 ოქტომბერს არ დამთავრდება. პირიქით, 8 ოქტომბრის მერე დაიწყება მთავარი. ქვეყნის უმეტეს რეგიონებში მეორე ტურები იქნება, სადაც „ოცნებას“ ამ კანდიდატებით ძალიან გაუჭირდება.**

შორენა მარსაგიშვილი

ჩაერია თუ არა „ქართული ოცნების“ მაჟორიტარების შერჩევაში ბიძინა ივანიშვილი, მიიღებს თუ არა ის საარჩევნო სიის შედგენაში მონაწილეობას, ვინ აიღებს ხელში ქუჩაში დაგდებულ ძალაუფლებას? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ექსპერტი გია ხუხაშვილი ესაუბრება.

***– „ქართულმა ოცნებამ“ დაასრულა მაჟორიტარების წარდგენა. რომლის რიგებშიც დიდი დოზით აღმოჩნდნენ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები, სპორტსმენები და მსახიობები. თქვენი აზრით, რა ხდება?***

– განსაკუთრებული და ახალი არაფერი მომხდარა. ქვეყანაში პოლიტიკური სურათი არ იცვლება. ჩვენ გვყავს ე.წ. გადამფრენი დეპუტატები, რომლებიც იმის მიხედვით იცვლიან პარტიებს, თუ ვინ მოვა ხელისუფლებაში.

„ქართულმა ოცნებამ“ გადაწყვიტა, სისტემურად შეეცვალა ეს ყველაფერი, ახალი სახეებიც კი წარმოგვიდგინეს. საბოლოო ჯამში იმ ადამიანებზე ჩამოვიდნენ ფსონს, რომლებმაც ცოცხების სკანდალის შემდეგ, 2012 წელს 5 ნომრით იყარეს კენჭი. ასე რომ, „ოცნების“ საუბარი ფასეულობებსა და ღირებულებებზე ფარსია და მეტი არაფერი. მიდის ძალაუფლების გადანაწილებისთვის ჩვეულებრივი ბრძოლა.

„ქართულ ოცნებას“ თავიდან თითქოს ჰქონდა სურვილი, ქვეყანა ამ მანკიერი წრიდან გამოეყვანა. ამიტომაც შეიკრიბნენ საგურამოში და წარმოადგინეს ახალი სახეები. აქცენტი კეთდებოდა პროფესიონალიზმსა და ჰარვარდზე. გამომდინარე იქიდან, რომ მათ ამ სურვილის შესრულების უნარი არ აღმოაჩნდათ, მაჟორიტარებად ხალხი შემდეგნაირად შეარჩიეს – ვიღაცას 3 კაცის პოვნა დაავალეს, ვიღაცას 4-ის და ა.შ. შესაბამისად, ფეხბურთელმა ფეხბურთელი მოიყვანა მაჟორიტარად, მომღერალმა – მომღერალი.

***– ანუ, ყველამ თავისი კანტორის ხალხი მოიყვანა.***

– დაახლოებით ასე შედგა მაჟორიტარების სია. ამ ადამიანების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს და ყველას ვუსურვებ წარმატებას, მაგრამ ამ შემადგენლობით „ქართული ოცნება“ დადგა კიდევ უფრო მეტი საფრთხის წინაშე.

***– რა საფრთხეზე საუბრობთ?***

– ამ შემადგენლობით არჩევნებზე მათ შესაძლოა სერიოზული პრობლემები შეექმნათ. რამდენიმე გამონაკლისის გარდა, „ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატები ძირითადად არაპროფესიონალები არიან. რაც ბევრ კითხვის ნიშანს აჩენს.

***– რატომ გადადგა „ქართულმა ოცნებამ“ ასეთი სარისკო ნაბიჯი?***

– „ქართულმა ოცნებამ“ გადაწყვიტა, გადამწიფებული თინეიჯერობის ასაკში რაღაც გაეკეთებინა თავისით, მამიკოს გარეშე და როგორც ყოველთვის, ტყლაპოში ჩავარდა. ახლა ისევ მამიკოს სთხოვს დახმარებას, სამსახურიდან მაგდებენო.

***– მამიკოში ბიძინა ივანიშვილს გულისხმობთ?***

– რა თქმა უნდა, ივანიშვილისთვის „ოცნება“ არის შვილი.

***– დაეხმარება მამიკო ტყლაპოში ჩავარდნილ შვილს?***

– ის, როგორც ყველა მამა, ცდილობს, შვილს გზა გაუკაფოს. ჰგონია, რომ ამ შვილისგან რაღაც დადგება და დამოუკიდებლად მოქმედების შანსი მისცა. ეს შვილი არ არის ცუდი ბიჭი. კარგი სადღეგრძელოებიც ისწავლა. უნდა რაიმე საქმეც გააკეთოს, მაგრამ ბირჟაზე დგომის და „სემიჩკის“ ფურთხების მეტი არაფერი შეუძლია. ასეთ დროს მამა იძულებულია, ისევ თავად მოაგვაროს მისი პრობლემები. ივანიშვილსაც ასე მოუწევს „ოცნების“ მიხედვა.

***– თქვენი აზრით, რას იზამს ივანიშვილი?***

– როგორც მან გამოაცხადა, ყველა რესურსს გამოიყენებს, რომ შვილი დატოვოს სამსახურში.



***– რესურსების გამოყენება ცოტა ხომ არ დააგვიანდა?***

– დაგვიანებით ალბათ არ დააგვიანდა, მაგრამ „ოცნების“ შველა მარტივი არ იქნება. იმის მიუხედავად, რომ მას სერიოზული კოზირი უკავია ხელში.

***– კოზირში მის ფინანსებს გულისხმობთ?***

– მარტო ფინანსებს არა, ის ისევ დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. რაც „ოცნებას“ ძალიან წაადგება. „ოცნებას“ გარკვეულ უპირატესობას აძლევს სახელისუფლებო რესურსიც. ამ ყველაფრის მიუხედავად, ქვეყნის უმეტეს რეგიონებში არჩევნების მეორე ტურს უნდა ველოდოთ. ეს „ქართულ ოცნებას“ არ უტოვებს იმის ფუფუნებას, რომ 8 ოქტომბრის ღამესვე გამოაცხადოს. რაც შემდგომში სერიოზულ პრობლემებს შექმნის.

***– რა პრობლემებს შექმნის?***

– ხელისუფლება, რომელიც არჩევნების ღამესვე ვერ გამოაცხადებს თავს გამარჯვებულად, ფსიქოლოგიურად უკვე წაგებულია. ამას ამომრჩეველი აღიქვამს მის სისუსტედ. რაც შესაძლოა „ოცნებას“ უსიამოვნო სიურპრიზად შემოუბრუნდეს.

ყველა უნდა შევეგუოთ იმას, რომ არჩევნები 8 ოქტომბერს არ დამთავრდება. პირიქით, 8 ოქტომბრის მერე დაიწყება მთავარი. ქვეყნის უმეტეს რეგიონებში მეორე ტურები იქნება, სადაც „ოცნებას“ ამ კანდიდატებით ძალიან გაუჭირდება.

***– „ოცნებამ“ მაჟორიტარების წარდგენა დაასრულა. ახლა საარჩევნო სიის გასაჯაროებას ელოდება ყველა. თქვენი აზრით, აქაც იგივე სიურპრიზებს უნდა ელოდოს ამომრჩეველი ხელისუფლებისგან?***

– განსაკუთრებულ სიახლეებს და სასწაულს არ ველოდები. ცოტა ხნის წინ ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში 15 ახალი სახე წარმოადგინეს. ამტკიცებენ, რომ ისინი არიან პროფესიონალები და მათ დასავლურ განათლებას უსვამენ ხაზს. ახლა მაინტერესებს, ეს ახალი სახეები სიის პირველ-მეორე ათეულში მოხვდებიან თუ სადმე იქეთ გადაინაცვლებენ.

მაჟორიტარების შერჩევის ხარისხით თუ ვიმსჯელებთ, სიაშიც შესაძლოა ვიხილოთ სიურპრიზები. გადამწიფებული თინეიჯერი, „ქართული ოცნება“ სიის შედგენას დამოუკიდებლად ვერ შეძლებს. ისინი იძულებული გახდებიან, ისევ ივანიშვილს სთხოვონ დახმარება და, სავარაუდოდ, ის მიუჩენს ყველას თავის ნომერს სიაში.

***– „ოცნების“ კონკურენტების მაჟორიტარებსა და საარჩევნო სიებზე რას იტყვით?***

– ეს კიდევ სხვა უბედურებაა. კონკურენტების სიებს და მაჟორიტარებს თუ შევხედავთ, „ქართულ ოცნებას“ ხელში კიდევ ერთი კოზირი უვარდება. მართალია ხელისუფლება მძიმე დღეშია, მაგრამ მაგაზე უარეს დღეშია ოპოზიცია. დღეს ძალაუფლება ფაქტიურად აგდია ქუჩაში, მაგრამ მისი ამღები არავინაა.

ამომრჩევლის ნაწილი არჩევნებზე აუცილებლად აპირებს წასვლას, მაგრამ მათ ჯერ გადაწყვეტილი არა აქვთ, ვის მისცეს ხმა. ისინი არც „ოცნების“ მხარდამჭერები არიან და არც ნაციონალური მოძრაობის. ამ ტიპის ამომრჩეველი არჩევნებამდე 2 კვირით ადრე მიიღებს გადაწყვეტილებას. მათმა გადაწყვეტილებამ აქ შესაძლოა სიტუაცია მკვეთრად შეცვალოს.

***– ყოფილმა პრეზიდენტმა სააკაშვილმა დააანონსა, არჩევნების დღეს საქართველოში ვიქნებიო. ეს თუ შეცვლის სიტუაციას?***

– არა მგონია, სააკაშვილმა არჩევნების დღეს საქართველოში შემოსვლა გარისკოს. ეს განცხადება მისი მხრიდან ხელისუფლებაზე ფსიქოლოგიური ზეწოლაა მხოლოდ. ნებისმიერ ხელისუფლებას პარანოიდული აზროვნება ახასიათებს. ამ მხრივ გამონაკლისი არც „ქართული ოცნებაა“. ნაციონალები შეეცდებიან, ეს პარანმიუა ხელისუფლებას მაქსიმალურად გაუზარდონ.

სააკაშვილი საქართველოში მხოლოდ მაშინ დაბრუნდება, როცა ეს ხელისუფლება საბოლოოდ ჩამოიშლება. მაქსიმუმს, რასაც ის 8 ოქტომბერს გააკეთებს, სარფის საბაჟო ტერმინალის ფონზე თათბირის ჩატარება იქნება.

***– თქვით, რომ ამომრჩევლის ძალიან დიდი ნაწილი საბოლოო გადაწყვეტილებას არჩევნებამდე 2 კვირით ადრე გააკეთებს. მათი გულის მოსაგებად რაიმე სკანდალური კადრები ხომ არ გამოქვეყნდება, დაახლოებით ისეთი, 2012 წლის არჩევნების წინ რომ გამოქვეყნდა?***

– აშკარაა, რომ „ქართული ოცნება“ შეეცდება, ისევ სისხლიან 9 წელზე გააკეთოს აპელირება. მათი მხრიდან ამ თემაზე საუბარი ფარსად იქცა. ის ხალხი, რომლებიც სისხლიან წლებში რეჟიმს წარმოადგენდნენ, „ოცნებაში“ საკმაოდ კარგად მოკალათდნენ.

ხელისუფლება აუცილებლად გამოაქვეყნებს რაღაც კომპრომატებს. პასუხის გაცემას ნაციონალები არ დააგვიანებენ. კომპრომატები ორივე მხარეს აქვს და ისინი ერთმანეთის ნეგატივით გადაფარვას შეეცდებიან.

***– გამოდის, რომ წინ კომპრომატების დიდი ომი და მეორე ტურები გველოდება.***

– გველოდება და ამისთვის ახლავე უნდა მოვემზადოთ. სამწუხაროა, რომ ეს არჩევნები თავიდან ბოლომდე ნეგატივზე იქნება აგებული. პარტიები იმას ვერ ამბობენ, რომ ისინი კარგები არიან და სხვაა ცუდი. ამბობენ, რომ ის სხვაა მასზე უარესი. ეს ნეგატივი ამომრჩევლისთვის უცხო არ იქნება. წლებია არჩევნები სულ ამ პრინციპით ტარდება.

## ლევან ბერძენიშვილი: „ბედუკაძემ, კვარაცხელიამ და პუტინმა არჩევნებში ერთად უნდა მიიღონ მონაწილეობა“

– ასემც უქნიათ, ლადო ბედუკაძემ, ვალერი კვარაცხელიამ და ვლადიმერ პუტინმა არჩევნებში ერთად მიიღონ მონაწილეობა, ქართველი ხალხი მათ სანაგვეზე მოისვრის, სადაც მათი ადგილია.

ამის შესახებ ჟურნალისტებს რესპუბლიკელმა ლევან ბერძენიშვილმა განუცხადა.

**ლევან ბერძენიშვილი:**



– მარტო საქართველოში შეიძლება იყოს ისეთი კომიკური ფენომენი, როგორიც არის ვალერი კვარაცხელია. ეს კაცი არის ისეთი ფორმულა, რომელსაც თუკი ვინმე მხარდამჭერი ჰყავს, ყველა არის მძიმე სოციალურ და ფსიქოლიგიურ მდგომარეობაში. ასე რომ, მხარი არ დაუჭიროთ, რადგან, ვინც მხარს დაუჭერთ, ეჭვი გვექნება, რომ ცოტა ვერა ხართ.

ვალერი კვარაცხელიას პარტიისა და „ცენტრისტების“ გააქტიურების კონტექსტში ბერძენიშვილი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს აკრიტიკებს.

– პარტია, რომელიც ბედავს და საქართველოს კონსტიტუციას ასე უხეშად არღვევს, დაუყოვნებლივ უნდა გაუქმდეს, – აცხადებს ბ-ნი ბერძენიშვილი.

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

**ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

## შსს-მ დანაშაულებრივი ჯგუფის 5 წევრი დააკავა



როგორც შსს-ში გუშინ, 16 აგვისტოს, გამართულ ბრიფინგზე განაცხადეს, უწყების ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს დამნაშავეთა სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს და მთავარი პროკურატურის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი 5 პირი: 1970 წელს დაბადებული ზ. ა., 1982 წელს დაბადებული დ. ც., 1987 წელს დაბადებული, ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი ჯ.ბ., 1970 წელს დაბადებული მ. ჩ. და 1969 წელს დაბადებული შ.მ., გამოძალვისა და თავისუფლების უკანონო აღკვეთის ბრალდებით, თბილისში დააკავეს.

– გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულებმა, წინასწარი შეთანხმებით, 1986 წელს დაბადებულ ი.ხ.-ს თავისუფლება უკანონოდ აღუკვეთეს, ავტომანქანაში ჩასვეს და მისი ნების წინააღმდეგ, თბილისში, დიღმის მასივში, ერთ-ერთ საცხოვრებელ ბინაში მიიყვანეს, სადაც თანხის გამოძალვის მიზნით ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს.

აღნიშნულმა პირებმა უკანონოდ თავისუფლებააღკვეთილ მოქალაქეს წაართვეს პირადი ნივთები, მათ შორის, ერთ-ერთი ბანკის პლასტიკური ბარათი, რომლიდანაც მოხსნეს მასზე არსებული თანხა. ბრალდებულებმა, ასევე, იძულების წესით ი.ხ. თავის საცხოვრებელ სახლში მიიყვანეს, სადაც დაზარალებულის მეუღლეს 3.500 ლარი გამოსძალეს.

აღნიშნულის შემდეგ, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა უკანონოდ თავისუფლებააღკვეთილი მამაკაცი დამატებით 15.000 ლარის გადახდის პირობის სანაცვლოდ გაათავისუფლეს, – განაცხადეს შსს-ში.

გამოძიება დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზნით ჯგუფურად გამოძალვისა და და წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ძალადობის გამოყენების მუქარით თავისუფლების უკანონო აღკვეთის ფაქტზე (საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ და 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და მე-3 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით) მიმდინარეობს.

**ინტერპრესნიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# რამაზ საყვარელიძე: „ბევრ ოლქში მეორე ტური იქნება, რაც დემოკრატიის უტყუარი ნიშანია“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ პრემიერ კვირიკაშვილისა და „ქართული ოცნებისგან“ სერიოზული გზავნილი იყო სალომე ზურაბიშვილისადმი მხარდაჭერა. პოლიტოლოგის აზრით, ეს არის ახალი პოლიტიკური რეალობა ქართულ სინამდვილეში.

***— ბატონო რამაზ, თბილისის მაჟორიტარულ ოლქებში „ქართული ოცნების“ მიერ დასახელებულ კანდიდატებს არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა. თქვენი პოზიცია როგორია?***

— „ქართულმა ოცნებამ“ მაჟორიტარულ ოლქებში დაასახელა ის კანდიდატები, რომლებმაც პარტიას მანდატები უნდა მოუტანონ პარლამენტში. მან დაასახელა პოპულარული, საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობი სახეები. ამ შემთხვევაში უფრო მარტივია არჩევანის გაკეთება ამომრჩევლის მიერ. სად ნაცნობს რომ აძლევ ხმას და სად უცნობს, რომლის შესახებაც არაფერი იცი.

***— პარლამენტში კანონები რომ არის დასაწერი?***

— რა თქმა უნდა, იდეალურ პარლამენტარზე ფიქრის დროს სპორტსმენი არ გახსენდება, მაგრამ ფაქტია, რომ არჩევნებში, მით უფრო მაჟორიტარულში, ბევრ ქვეყანაში ეს მეთოდი აპრობირებულია. ცნობად სახეებს, მაგალითად, სპორტსმენებს ხმები მოაქვთ. ჩემთვის ამ წარდგენაში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო სალომე ზურაბიშვილის ფაქტორზე აქცენტი, რომ მას კონკურენტს არ დაუყენებს მმართველი ძალა.

***— რატომ გადადგა ეს ნაბიჯი „ქართულმა ოცნებამ“?***

— ეს არის მართლაც ღირსეული ნაბიჯი და უპრეცედენტო ფაქტი. ეს ახალი პოლიტიკური რეალობაა, რომელიც ნამდვილად მისასალმებელია. „ქართული ოცნება“, პირადად პრემიერი კვირიკაშვილი, ამით სერიოზულ გზავნილს უშვებს, რომ მისთვის მთავარი ღირებულებაა ადამიანი, რომელიც არის მაღალი კვალიფიკაციის,



პროფესიონალი, რომლის კომპეტენციასა და პოლიტიკურ კულტურაში, პოლიტიკურ თუ ქალურ შარმში ეჭვი არავის შეაქვს.

***— სალომე ზურაბიშვილს ხელს შეუშლის „ქართული ოცნების“ ეს ერთგვარი ჟესტი, რომ ის მომავალში იყოს კრიტიკული?***

— ძალიან მეეჭვება, რომ სალომე ზურაბიშვილი არ იყოს კრიტიკული. ის აპირებს, რომ კრიტიკული იყოს და ამიტომ აფასებს ამ ნაბიჯს. ქალბატონი სალომე „ქართული ოცნებიდანაც“ რომ ყოფილიყო წარდგენილი, მაინც იქნებოდა კრიტიკული. ამ მხრივაც ის ნამდვილად არის ევროპული ტრადიციის პოლიტიკოსი.

***— სოციოლოგები ამბობენ, რომ ბევრ საარჩევნო ოლქში მეორე ტური იქნება. თქვენც ელოდებით თბილისის ოლქებში მეორე ტურს?***

— იმას არ ველოდები, რომ სადმე პირველივე ტურში გადაწყდება, თუ ვინ იქნება გამარჯვებული, თორემ მეორე ტურს როგორ არ ველოდები. ძალიან ბევრი რამე მიუთითებს იმაზე, რომ მეორე ტური იქნება.

***— კონკრეტულად?***

— თუნდაც ის, რომ მრავალპარტიულობა არის ჩვენი გზა, ის, რომ მრავალპარტიულობაში არის ხიბლი.

***— გიორგი კვირიკაშვილმაც არ გამორიცხა, რომ ბევრ ოლქში მეორე ტური იქნება. ასეთი გულწრფელი აღიარება არ სჩვევიათ პოლიტიკოსებს. რატომ გააკეთა პრემიერმა ეს განცხადება?***

— ძალიან საინტერესო კითხვაა. მართლაც არ სჩვევიათ ხოლმე პოლიტიკოსებს ასეთი აღიარებები. ერთი, გიორგი კვირიკაშვილი ნამდვილად არის გულწრფელი პოლიტიკოსი, რაც მისასალმებელია. მეორე, ამით კვირიკაშვილმა იმის ხაზგასმა გააკეთა, რომ „ქართული ოცნება“ არ აპირებს არჩევნების გაყალბებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამას არ იტყოდა.

ავტოკრატიულ რეჟიმებში პირველ ტურში წყდება ხოლმე ყველაფერი. მეორე ტური არის ყოველთვის დემოკრატიის ნიშანი, დემოკრატიის უტყუარი ნიშანი. როდესაც იტყვის ხელისუფალი, რომ მეორე ტური იქნება, ეს არის იმის ნიშანი, რომ არჩევნების გაყალბება არ იქნება, ხელების გადაგრეხა არ იქნება. თუ სახელისუფლებო პარტია მეორე ტურს ელოდება, ე.ი. მზად არის, რომ ბრძოლა პატიოსანი იყოს.

# ეკა გიგაური: „ცენტრისტებზე“ პასუხისმგებლობა ცესკოს ეკისრება“

„საერთაშორისო გამჭვირვალობა -საქართველოს“ აღმასრულებელი მდივანი ეკა გიგაური პარტია „ცენტრისტების“ საარჩევნო რეგისტრაციაში გატარების გამო პასუხისმგებლობას ცესკოს აკისრებს.

როგორც გიგაურმა „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, ცესკოს მხრიდან უნდა გადამოწმებული ყოფილიყო ინფორმაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში კი რეგისტრაცია არ უნდა მომხდარიყო.

**ეკა გიგაური:**

— თუკი მცდელობა იყო გადამოწმების და ინფორმაცია ვერ გადამოწმდა, რეგისტრაცია არ უნდა მომხდარიყო.



მისივე თქმით, ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა სწორედ ცესკოს ეკისრება.

— ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება ცესკოს, რადგან საჯარო რეესტრმა ის, რაც მათი პასუხისმგებლობა და ვალდებულება იყო, შეასრულა.

ცესკოს უნდა გადაემოწმებინა პირი, რომელმაც მიიტანა დოკუმენტაცია, იყო თუ არა პარტიის ოფიციალური წარმომადგენელი. ეს არ ნიშნავს, რომ სასამართლოს ან საზოგადოებრივ მაუწყებელს თავისი მხრიდან ეს ინფორმაცია არ უნდა გადაემოწმებინა, მაგრამ ამ შემთხვევაში, პირველი ფილტრი იყო საჯარო რეესტრი და მან თავისი ვალდებულება შეასრულა.

— ამის შემდეგ იყო ცესკო და მან ფაქტობრივად თავისი ფუნქცია ამ მიმართულებით არ შეასრულა, — აღნიშნა ქ-მა გიგაურმა.

მისივე შეფასებით, ამ მაგალითმა აჩვენა, რომ ადვილად შეიძლება ცესკოში დარეგისტრირდეს ისეთი პარტია, რომლის ქმედებები შესაძლოა კონსტიტუციისა და ქვეყნის წინააღმდეგ იყოს მიმართული.

**ეკა გიგაური:**

— ამ მაგალითმა გვაჩვენა, რომ უფრო დიდი პრობლემის წინაშე ვდგავართ, რომ შესაძლებელია, ჩვენს ქვეყანაში დარეგისტრირდეს ისეთი პარტია, რომლის ქმედებები შესაძლებელია განხილულ იქნას როგორც კონსტიტუციის საწინააღმდეგო და მათ ყველა საშუალება ექნებათ იმისთვის, რომ ზუსტად ის დაპირებები, რაც აქვთ, განახორციელონ იმ უბრალო მიზეზების გამო, რომ ჩვენი სისტემა არ არის მზად ასეთი გამოწვევებისთვის.

# არჩილ გამზარდია: „ივანიშვილი პარტიების ასეთ აგრესიას არ იმსახურებს“

გულიკო ბალაძე

ანალიტიკოსი **არჩილ გამზარდია** „ახალ თაობასთან“ რესპუბლიკელების, მისი ლიდერის და სხვა პარტიების წინასაარჩევნო კამპანიას აფასებს.

***— ბატონო არჩილ, წერთ, ჩვენს ქვეყანაში წესიერი მოღვაწეების ნაცვლად უწესო პოლიტიკოსები დარჩნენ მოთხოვნადი და პოლიტიკურმა სპექტრმა სრული საზოგადოებრივი კრიზისი შექმნაო. ნაწყენი ხართ პოლიტიკურ ელიტაზე, ვინც დღეს მართავს ქვეყანას?***

— არა, რატომ უნდა ვიყო ნაწყენი. მე ჩვეულებრივი მოქალაქე და ამომრჩეველი ვარ. მინდა პოლიტიკური პროცესები ვითარდებოდეს და მივიღოთ თანამედროვე ამომრჩეველი, თანამედროვე ადამიანებისაგან შემდგარი პოლიტიკური ჯგუფები და თანამედროვე სახელმწიფო. რადგან ამგვარი პროცესები არ არის ქვეყანაში, ცხადია, ნაწყენი ვარ.

***— წესიერ ადამიანს ფული არ აქვს და პოლიტიკაშიც ფეხს ვერ იკიდებს. ფული თუ არ გაქვს, საარჩევნო კამპანიას ხომ ვერ ჩაატარებ?***

— ფული პოლიტიკურ პროცესში მნიშვნელოვანია, მაგრამ როდესაც პოლიტიკური პარტია ამ კუთხით ახარისხებს ადამიანებს და ისე არჩევს თავის სახეებს, თავისთავად არასწორი პროცესია. პარტიამ უნდა შეაგროვოს ადამიანები, რომლებიც ქვეყანას და ხალხს გამოადგება. ჩვენთან პარტიებში გარკვეული კლანებია. განსაკუთრებით, წამყვან პარტიებში. კლანის წევრები საკუთარი ინტერესების მიხედვით მოქმედებენ, ამავე ინტერესებისთვის ეძებენ სხვა ადამიანებსაც, ვინც გაატარებს მათ პოლიტიკას და არა სახელმწიფო პოლიტიკას. ეს არის სამწუხარო.

***— თქვენ ფეისბუქზე საყვედურებს გამოთქვამდით „ქართული ოცნების“ ლიდერების მიმართ, თბილისში დასახელებული კანდიდატების გამო.***

— მე უბრალოდ კარგად არ ვიცნობდი, ვინ იყვნენ და ვიკითხე, ვინ არიან-მეთქი. რადგან არ ვიცნობდი, ბუნებრივია, დავინტერესდი.

***— რატომ აკრიტიკებთ უსუფაშვილს? განა, სხვა პარტიების წინასაარჩევნო პროცესში არ შეიმჩნევა ივანიშვილისადმი დარტყმების ხარჯზე პოზიციონერობა? კონკრეტულად, რაში დაინახეთ ივანიშვილისადმი დარტყმების ხარჯზე უსუფაშვილის პოზიციონერობა?***

— კონკრეტულად, ეს დავინახე დავით უსუფაშვილის კარგად რაფინირებულ განცხადებაში, მან კიდევ ერთხელ წამოწია ივანიშვილის არაფორმალური მმართველობის თემა.

ბოლო პერიოდში შედარებით მინელდა საუბარი ივანიშვილის არაფორმალურ მმართველობაზე. ძირითადად პრემიერი მოექცა ყურადღების ცენტრში. ის ჩანს დამოუკიდებელ ფიგურად. დავით უსუფაშვილმა თავის განცხადებაში ძალიან რაფინირებულად მიანიშნა, რომ ყველაფრის მმართველი ისევ ივანიშვილია, მაგრამ შეიძლება აღარ იყოს. თუ ივანიშვილის გამო აპირებთ ხმის მიცემას, ის ცოტა ხანში გაქრება პოლიტიკური რადარიდანო. მეორე მხრივ, აჩვენა, ნუ გგონიათ პრემიერი განაგებს პროცესებსო.

აღნიშნული მიზნები ძალიან ფრთხილად და დელიკატურად იყო შეფუთული, მაგრამ ეს აზრი იკითხებოდა. საკუთარი თავი რომ აჩვენონ, პირდაპირ ივანიშვილს ურტყამენ. ივანიშვილის ადვოკატი არ ვარ, მაგრამ ეს პროცესი არ მომწონს. არა მგონია, ისეთი პატივსაცემი ადამიანისგან (უმრავლესობა უსუფაშვილს პატივს სცემს) ასეთ დონეზე დაშვება კარგად აჩენდეს. პოლიტიკოსებს (უსუფაშვილს და სხვებს) ერთი პრობლემა აქვთ — როგორც კი საქმე საქმეზე მიდგება, ლიდერები პარტიის აქტივისტების დონეზე ეშვებიან, უფრო მაღლა ვერ ჩერდებიან და თავის თამასას დაბლა წევენ.



***— ერთ დროს უსუფაშვილმა ერთ-ერთ უცხოურ გაზეთში ივანიშვილის საქებარი წერილი გამოაქვეყნა. ახლა უსუფაშვილი ივანიშვილზე ნაწყენია, ისევ პატრონად რომ არ მოევლინა, როგორც 2012 წელს?***

— რესპუბლიკელებისა და „ოცნების“ შინაარსიანი თანამშრომლობა რომ გამოსულიყო, დღეს ცალ-ცალკე არ იქნებოდნენ.

***— ამბობენ, რესპუბლიკელებს ბარიერის გადალახვის პრობლემაც კი უდგათო. უსუფაშვილმა მწვერვალიდან დაშვების სიმწარე იგრძნო?***

— რესპუბლიკელებმა იმაზე მეტი ამბიცია გამოხატეს პარტნიორობის დროს, ვიდრე ის ღირდა. ამან გამოიწვია მათი ერთიანობის რღვევა. უსუფაშვილმა, ბუნებრივია, იცის, რომ ეს პარტიას კრიზისს შეუქმნის. ზოგადად ჩვენ რესპუბლიკური პარტია ცალკე აღებული გამარჯვებული არასოდეს გვინახავს. თვითონ რესპუბლიკელები უერთდებიან ვიღაცას და ისე გამოდიან არჩევნებში — ადრე ნაციონალებთან იყვნენ, შემდეგ „ქართულ ოცნებასთან“. ასე სხვის ხარჯზე, სხვისი გონორით ახერხებს ხოლმე პარლამენტში შესვლას.

ახლა რესპუბლიკელების პარლამენტში შესვლის შანსები ძალიან დაეცა. ამიტომაც ძირითადად აქცენტი ყოფილი პარტნიორის მიმართ ნეგატივზე აქვთ აგებული.

***— თქვენ უსუფაშვილის საქციელს არაეთიკური უწოდეთ და ალასანიას შეადარეთ, ანუ რესპუბლიკური პარტია და თავისუფალი დემოკრატები ერთი დონის პარტიებია?***

— გულწრფელად გეტყვით, რომ ალასანიას პარტიაც და რესპუბლიკური პარტიაც საკმაოდ საინტერესო ადამიანების კრებულებია, მაგრამ მთავარია, მთლიანობაში როგორ ახდენენ თავიანთი თავის წარმოჩენას საზოგადოებაში პოლიტიკური პარტიები.

***— დადებითი კუთხით ვერ ავლენენ თავს?***

— თავის დროზე და შემდეგაც, ალასანიამ ბევრი შეცდომა დაუშვა. ამიტომაც არის დღეს ალასანიას პარტია, თავისუფალი დემოკრატები მნიშვნელოვნად უსახური. ერთადერთი, რაზეც მათი აპელირებაა ეფექტური, დასავლური ფასეულობებია. სხვა კუთხით ეს პარტიები არახილვადია. იგივე დაემართათ შემდეგ ბურჭულაძეს და რესპუბლიკელებს. ეს არც შესაქები საქციელია და არც — ეფექტური. გამოდის, ვიღაცისგან დამოუკიდებლად გზას ეძებენ და ვერ პოულობენ.

***— ამ პარტიებმა დამოუკიდებელი პოლიტიკა ვერ შექმნეს?***

— თავისუფალმა დემოკრატებმა სხვისგან დამოუკიდებლად ვერ შექმნეს თავისი პლატფორმა. ბურჭულაძის პარტიამაც სხვისგან დამოუკიდებლად ვერ შექმნა თავისი პლატფორმა. იგივე ემართებათ ახლა რესპუბლიკელებს.

***— იმის ბრალია, რომ ამ პარტიებმა თავისი წინასაარჩევნო კამპანია ბიძინა ივანიშვილის პერსონის კრიტიკაზე ააგეს?***

— ზოგადად შეჩვეულები ვართ და წლების განმავლობაში ტრადიციაა, ჯერ გამსახურდიას წინააღმდეგ, შემდეგ შევარდნაძისა და სააკაშვილის წინააღმდეგ პოზიციონერობდნენ პოლიტიკური პარტიები და ვინც უფრო კარგად ახერხებდა დაპირისპირებას, ის მოდიოდა ხელისუფლებაში.

***— დღევანდელი სიტუაცია არ განსხვავდება?***

— დიახ, დღეს სხვა სიტუაციაა. შეიძლება დღეს ივანიშვილის ეფექტი დაეცა, ივანიშვილიც ვერ გაერკვა, რა ფორმით და რა დოზით უნდა ყოფილიყო ჩართული — ხან გაიელვებდა, ხან მეორე პლანზე გადადიოდა, მაგრამ მის მიმართ ნეგატივი საზოგადოებაში იმ დოზის არ არის, რომ ამით ვინმე მოგებული დარჩეს.

***— ივანიშვილი რომ არც შევარდნაძის მსგავსია და არც — სააკაშვილის?***

— ივანიშვილი მმართველი ლიდერი არ არის. ის სხვა საკითხებზეა ორიენტირებული, მაგრამ მის მიმართ ნეგატივი პოლიტიკური პარტიებისგან ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე გონიერებისა და რაციონალურობის შემთხვევაში უნდა ყოფილიყო.

***— მისი კრიტიკის დონეა რეალობასთან შეუსაბამო?***

— ისინი უფრო გადაეკიდნენ ივანიშვილს, ვიდრე აკრიტიკებენ. კრიტიკა ძალიან მნიშვნელოვანიც იქნებოდა. რაღაც დოზით კიდეც უნდა აკრიტიკო, მაგრამ იმდენად ამლაშებენ, რომ გონიერი ადამიანები მაინც ივანიშვილს უჭერენ მხარს. მოახერხეს ის, რომ ივანიშვილის მიმართ დამოკიდებულება ისეთი დადებითი აღარ არის, როგორც იყო 4 წლის წინ, თუმცა, არც ნეგატიურია, თუ არ ჩავთვლით ცალკეულ ჯგუფებს.

იმდენად დიდი აგრესია მოდის პოლიტიკური სუბიექტებისგან, როგორსაც ის არ იმსახურებს. ქვეყანას ჰყავს ხელისუფლება, პრემიერი და აბსტრაქტული ლიდერის კრიტიკა ამომრჩეველს არ აინტერესებს. ამიტომ პოლიტიკური სუბიექტები დაბნეულები ჩანან, ვერ არკვევენ, რა დოზის უნდა იყოს ნეგატივი.

# მირიან მირიანაშვილი: „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალებს შორის ახალი გარიგებაა“

მარიამ მჭედლიშვილი



საქართველოს გადარჩენის მოძრაობის ლიდერი მირიან მირიანაშვილი „ახალი თაობისათვის“ მიცემულ ინტერვიუში აცხადებს, რომ ნაციონალურ მოძრაობას უახლოესი გეგმები შეეცვალა და პოსტსაარჩევნოდ არეულობა აღარ იგეგმება.

**მირიან მირიანაშვილი:**

– სააკაშვილი დიდი ხნის განმავლობაში ემზადებოდა საპარლამენტო არჩევნების შემდგომი არეულობისათვის. ამ პერიოდში ის საქართველოში ჩამოსვლასაც ვარაუდობდა. სარწმუნო წყაროებიდან ირკვევა, რომ ეს გეგმა ველარ ხორციელდება. დასავლეთი სააკაშვილს საქართველოში ჩამოსვლის ნებას არ აძლევს.

***– ეს უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს უკავშირდება?***

– ბუნებრივია, ეს კავშირშია უკრაინაში დაძაბულობის ზრდასთან. სააკაშვილის ყოფნა იქაა გადაწყვეტილი. ამის გამო ნაციონალების რევანში ექვსი თვით, გაზაფხულისათვის გადაიდო. ნაცმოძრაობამაც უკლო დესტრუქციულ აქტივობებს.

***– ანუ „ქართულ ოცნებას“ არაფერი ემუქრება?***

– „ქართული ოცნებისა“ და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ერთმანეთთან ურთიერთობა ცალკე განსახილველი თემაა. დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ მათ შორის ახალი გარიგებაა.

***– რაში მდგომარეობს ეს გარიგება?***

– „ქართული ოცნებისა“ და ნაციონალური მოძრაობის ლიდერები ბევრ რამეში შეუთანხმდნენ ერთმანეთს. მთავარია, რომ არსებობს გარიგება მომავალ პარლამენტში ადგილების გადანაწილებაზე.

***– მოსალოდნელია, რომ პარლამენტი ორპარტიული იყოს?***

– მანდატების 90 პროცენტი უნდა გადაინაწილონ „ქართულმა ოცნებამ“ და ნაციონალურმა მოძრაობამ. აქედან 60% „ოცნებისა“ იქნება, 40% – ნაციონალებისა. დანარჩენ ადგილებს დააკავებინებენ ერთმანეთთან შეთანხმებულ ძალებს. კერძოდ, ბურჭულაძის პარტიას და გირჩების გარშემო შექმნილ ძალას. ეს სუბიექტები ამ ორი გარიგებული ძალის ერთობლივი პროექტებია.

კვირიკაშვილი და მისი გარემოცვა ნაციონალების ლიდერებთან ჩემთან დაკავშირებითაც გარიგდნენ.

***– ანუ, ისინი შეეწინააღმდეგებიან იმას, რომ თქვენი დაფუძნებული ნაციონალური მოძრაობა დაიბრუნოთ?***

– ცხადია, მათ არ აწყობთ, რომ ვაკონტროლო ნაციონალების რესურსები. მით უმეტეს, ვიბრძოლო ჩემი შექმნილი პარტიის დაბრუნებისათვის და დავიკავო ნიშა, რომელსაც ნაცმოძრაობა ავსებს.

ლიდერების ცვლილებით არ შეიცვლება ფორმა. ნიშა იგივე დარჩება. ეს ძალები ცდილობენ გაავრცელონ დეზინფორმაცია, თითქოს კოაბიტაცია და პარტიებს შორის შემდგომი გარიგებები აშშ-დან მომდინარეობს. ეს ტყუილია. ამერიკა ასეთ საკითხებში არ ერევა. ბოლო გარიგება შედგა კვირიკაშვილის ჯგუფსა და ნაციონალებს შორის. კვირიკაშვილს ვიღაცამ ჩააწვეთა, თითქოს მე დავიკავებდი გარკვეულ ადგილს ივანიშვილის გარემოცვაში. ამ გარიგების შედეგად საქართველოს გადარჩენის მოძრაობა არ გაატარეს რეგისტრაციაში.

უარი რეგისტრაციაზე საჯარო რეესტრში გვითხრეს, სადაც გიორგი კვირიკაშვილის ახლო ნათესავი მუშაობს. ამის გამო ცესკოშიც ვერ გავიარეთ რეგისტრაცია. ხარვეზები ბოლო დღეს აღმოაჩინეს.

***– ეს გარიგება დიდხანს გასტანს?***

– რა თქმა უნდა, დიდხანს ვერ გასტანს. არავინ იცის, იქნება თუ არა არჩევნების შემდეგ პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე გიორგი კვირიკაშვილი.

საქართველოს გადარჩენის მოძრაობა საქმიანობას არ შეაჩერებს. პირიქით, ჩვენ გავფართოვდებით. თუ 2.000 კაცის შეკრება მოვახერხე, 5.000-საც მოვაგროვებ. ჩვენ სახალხო მოძრაობად ვიქცევით. ამ ეტაპზე საქართველოს წინაშე მდგარი მთავარი პრობლემაც გადაილახა – ნაციონალური მოძრაობა ახლა ვერ ბრუნდება ხელისუფლებაში.

ნაცმოძრაობის რევანში გადაიდო. ამ პერიოდისათვის ჩვენ აღელვების ნაკლები მიზეზი გვაქვს. ნაცმოძრაობა პაუზას იღებს.

***– ანალიტიკოსი ზაალ კასრელიშვილი მიიჩნევს, რომ რუსეთ-თურქეთის ურთიერთობების გაღრმავების შემთხვევაში, მომავალში სიტუაციის ასარევად, ჩვენთან შეიძლება დასავლეთმა სააკაშვილი მოავლინოს.***

– სააკაშვილს დასავლეთში სერიოზულ პოლიტიკურ ფუნქციას არ აკისრებენ. მას მეტისმეტად კარგად იცნობენ. იქ იციან მისი ფესვები, რომელიც რუსეთთანაა დაკავშირებული, კარგად უწყიან, ვინაა მისი ბიძა დედის მხრიდან. ამერიკასთან კონტაქტები მარტო ნაციონალებს არ აქვთ. სხვებსაც გვაქვს ინფორმაცია.

***– თუმცა, დასავლეთმა დააკისრა სააკაშვილს გარკვეული მისია და ის უკრაინაში დატოვა.***

– სააკაშვილს იყენებენ, როგორც ანტირუსული რეფორმატორული ჯგუფის წარმომადგენელს. მას მენეჯერობას და ორგანიზატორობას არავინ ავალებს. მთლიანობაში, ნაციონალური მოძრაობა, უფრო სწორად, მისი ქვედა ფენა, დასავლური, ანტირუსული მიმართულებისაა. მიუხედავად სააკაშვილის საეჭვო გენეალოგიური შტამისა, ამ პარტიის რიგითი წევრები მედასავლეთეები არიან. ამ პარტიას, როგორც პროდასავლურ ჯგუფს, იყენებენ როგორც უკრაინაში, ისე საქართველოში. როცა წევრები ამ პარტიაში შემოდიოდნენ, მათ სააკაშვილის რუსეთთან კავშირებზე არაფერი იცოდნენ.

## ლადო ბედუკაძე: „ხელისუფლებას ახალ სიურპრიზებს მოვუმზადებთ“



„ცენტრისტების“ ერთ-ერთი ლიდერი ლადო ბედუკაძე არ გამორიცხავს, რომ მან და მისმა თანაგუნდელებმა არჩევნებში მონაწილეობა სხვა პარტიასთან გაერთიანების გზით მიიღონ.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ბედუკაძემ განუცხადა, ისინი კონსულტაციებს აუცილებლად გაივლიან და ბოლომდე იბრძოლებენ, რათა არჩევნებში მონაწილეობა შეძლონ.

**ლადო ბედუკაძე:**

– ბრძოლას არ შევწყვეტთ. გავივლით კონსულტაციებს. აუცილებლად ახალ სიურპრიზებს მოვუმზადებთ ხელისუფლებას და ბოლომდე ვიბრძოლებთ. ჩვენი ბრძოლა უკვალოდ არ ჩაივლის და ჩვენი იდეა, რაც გვაქვს ქართველი ამომრჩევლისადმი, აუცილებლად იქნება მიწოდებული.

მისივე თქმით, ჯერჯერობით ადრეა იმაზე საუბარი, თუ რომელ პარტიასთან გაერთიანდებიან და მიიღებენ არჩევნებში მონაწილეობას. ცესკოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, პარტია „ცენტრისტები“ საარჩევნო რეგისტრაციიდან მოიხსნა.

**ინტერპრესნიუსი**

# ვარშავის სამიტი და საქართველოს დასავლური ორიენტაცია

გლობალური კვლევების ცენტრმა საექსპერტო სემინარი გამართა, რომელიც ვარშავის სამიტსა და, ზოგადად, საქართველოს დასავლური ორიენტაციის დინამიკას მიეძღვნა. სემინარში მონაწილეობდნენ ექსპერტები იოსებ არჩვაძე, მამუკა არეშიძე, ვახტანგ მაისაია, პეტრე მამრაძე, ვასო კაპანაძე, ზაალ ანჯაფარიძე, სიმონ კილაძე, გლობალური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი ნანა დევდარიანი.

მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის გამგეობის თავმჯდომარემ პეტრე მამრაძემ მოხსენებაში „საქართველოს დასავლური ორიენტაციის შესახებ“ მიმოიხილა საკითხის ისტორია 2008 წლის აგვისტოს ომიდან დღემდე. პეტრე მამრაძე: „2008 წლის შემოდგომაზე, ნატომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ საქართველო არასოდეს არ მიეღოთ ნატოში და მაპიც, ანუ ე.წ. გაწევრიანების სამოქმედო გეგმა აღარ მოეცათ ჩვენთვის. „არასოდეს“ ქვეშ აქ, ცხადია, იგულისხმება: „მანამ, სანამ რუსეთის სამხედრო ბაზები დგას საქართველოში, სანამ არ აღდგება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და სანამ რუსეთი კატეგორიულად, სიტყვით და საქმით, ეწინააღმდეგება საქართველოს ნატოში გაწევრიანებას“. ნატოს ხელმძღვანელებმა და ნატოს წევრი სახელმწიფოს ლიდერებმა აცნობეს რუსეთს ამ გადაწყვეტილების შესახებ. ყველას, ვინც კი მეტნაკლებად აცნობიერებს, თუ რას წარმოადგენს ნატო, კარგად ესმის, რომ ნატოს საქართველოსთან დაკავშირებით არაფერი ჰქონდა გადასაწყვეტი და ეს „გადაწყვეტილება“ უბრალოდ ახალი გეოპოლიტიკური რეალობის კონსტატაცია იყო. ნატოს შტაბბინაში არავის, არასოდეს აზრადაც არ მოუვა იმ ქვეყნის მიღება თავის რიგებში, რომლის ტერიტორიაზე განთავსებულია იმ ერთადერთი სახელმწიფოს სამხედრო ბაზები, რომელსაც შეუძლია 30 წუთში მოსპოს არა მარტო აშშ, არამედ სიცოცხლე მთელ დედამიწაზე.

„ვარშავის სამიტი ნატოს უდავოდ ყველაზე ძლიერი და მნიშვნელოვანი ფორუმი გამოდგა ცივი ომის დასრულების შემდეგ. „დათბობა“ და „ხელახალი ჩატვირთვა“ ისტორიას ჩაბარდა. ღიად და მკვეთრად ჩამოყალიბდა უსაფრთხოების პრიორიტეტები. ასეთივე მკვეთრი იყო კონკრეტული გადაწყვეტილებები უსაფრთხოებისა და თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებასთან დაკავშირებით. სამიტი, ბუნებრივია, მსოფლიო მედიისა და წამყვანი ექსპერტების ყურადღების ცენტრში იყო. მაგრამ პუბლიკაციების ნიაღვარში საქართველო საერთოდ არ არის ნახსენები. თუმცა, სამიტმა ჯეროვნად შეაფასა და დააფასა საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესი და ისიც გაითვალისწინა, რომ საქართველოს საზღვარი ჰქონია თავის ჩრდილოელ მეზობელთან. ეს ყველაფერი აისახა სამიტის კომუნიკესა და ნატო-საქართველოს კომისიის ერთობლივ დეკლარაციაში. ის რადღირს, რომ დეკლარაციაში ნათქვამია, რომ „მაპ-ი ნატოში საქართველოს გაწევრიანების პროცესის შემადგენელი ნაწილი იქნება“ და არაფერია იმაზე ნათქვამი, თუ როდის შეიძლება მიიღოს საქართველომ ეს მაპი.

შეგახსენებთ, რომ ბოლო პერიოდში ქ-ნი თინა ხიდაშელი აცხადებდა, რომ მაპი მას აღარ აინტერესებდა, რომ ჩვენ უნდა გადავახტეთ მაპს და პირდაპირ შევიდეთ ნატოში. ნატომ, ცხადია, ახლაც არ უღალატა ორმაგ სტანდარტებს. ვგულისხმობ მონტენეგროს ნატოში მიღების ფონზე საქართველოს არჩევნებზე და სხვა სტანდარტებზე და „საჭირო პროგრესზე“ საუბარს, მაგრამ ეს სრულიად უმნიშვნელო რამ არის იმასთან შედარებით, რომ ნატო ამ ეტაპზე „უფრთხილდება საქართველოს“. ისიც ნამდვილად დასაფასებელია, რომ საქართველოს ხელისუფლების არც ერთმა წარმომადგენელმა არ განაცხადა, რომ საქართველოს სრულიად უსამართლოდ მოექცნენ და რომ ყველა პარამეტრით და სტანდარტით (გარდა იმ არაფორმალური ფაქტორისა, რომ ჩვენი ორი რეგიონი რუსეთმა დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ცნო და იქ სამხედრო ბაზები განათავსა, რუსეთთან საერთო საზღვრის ქონაზე რომ არაფერი ვთქვათ), ჩვენ ბევრად უფრო ვიმსახურებთ ნატოს წევრობას, ვიდრე მონტენეგრო.

საქართველოს დამოუკიდებლობის ფორმალური გამოცხადებიდან 25 წელი, ანუ საუკუნის მეოთხედია გასული. ამ პერიოდმა ცხადყო, რომ ე.წ. ეროვნული მოძრაობიდან პოლიტიკაში მოსული ლიდერები ვერ ჩამოყალიბდნენ ვერც პოლიტიკოსებად და ვერც სახელმწიფო მოღვაწეებად. მათთვის დამახასიათებელია ყბადაღებული დილეტანტიზმი და პირადი და ვიწროჯგუფური ინტერესების ეროვნულ ინტერესებზე მაღლა დაყენება მაშინაც კი, როცა მათი ინტერესები ეროვნულ ინტერესებს ეწინააღმდეგება“.

ექსპერტ ვასო კაპანაძის შეფასებით, „ფაქტია, რომ ვარშავის სამიტის შედეგად, საქართველოს ალიანსში გაწევრიანების კუთხით ოდნავი წინსვლაც კი არ დაფიქსირებულა. ფაქტია ასევე ისიც, რომ ნატოს ეს ბოლო სამიტი იყო მოლოდინებისგან ყველაზე დაცლილი სამიტი 2006 წლის შემდეგ, რადგანაც ყველა სამიტზე საქართველო უფრო აქტიურად ელოდა კონკრეტულ შედეგებს და ამჯერად კი, რეალურად, საქართველო არც არაფერს ელოდა, გარდა უბრალოდ პოზიტიური გზავნილებისა.

საქართველოს უსაფრთხოებისა და თავდაცვისუნარიანობის გასაუმჯობესებლად ნატომ გადაწყვიტა, საზღვაო უსაფრთხოების, თავდაცვის, სპეციალური დანიშნულების, ავიაციისა და ქართული ჯარის განვითარებისთვის ინვესტიციები განახორციელოს. სულ ნავარაუდევია 13 პროექტის ამოქმედება, რომლებშიც ნატოს 28 წევრი ქვეყნიდან 24 მიიღებს მონაწილეობას. ნატომ აიღო ვალდებულება, მოიზიდოს საჭირო რესურსები ამ პროექტების განსახორციელებლად.

ალიანსმა ასევე გადაწყვიტა, რომ შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების განსამტკიცებლად მის მიერ განხორციელებულ ქმედებებში საქართველომაც მიიღოს მონაწილეობა. თუმცა, ის კონკრეტული ღონისძიებები, რითაც ალიანსმა უნდა უზრუნველყოს შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება, ჯერჯერობით არ არის შეთანხმებული“.

ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია მიუთითებს, რომ პირველად, სამიტის პარალელურად მიმდინარეობდა ექსპერტთა საერთაშორისო ფორუმი, რომელზეც სამიტის პროგრამაში შეტანილ საკითხებზე იმსჯელეს. ექსპერტთა ამგვარი ჩართულობის წყალობით, მიღებული კომუნიკე ბევრად უფრო სქელტანიანი და კონკრეტული აღმოჩნდა. ასევე, მაისაიას შეფასებით, ბოლო ათწლეულების განმავლობაში ნატომ და ევროკავშირმა პირველად მოახერხეს შეთანხმება და ერთობლივი დეკლარაციის მიღება.

საქართველოსთან დაკავშირებულ დოკუმენტში ვახტანგ მაისაია გამოყოფს 3, 4 და 10 პუნქტებს. მესამე პუნქტი ეხება საქართველოსა და ნატოს შორის სტრატეგიული პარტნიორობის საკითხს, მათ შორის, სამხედრო-ტექნიკურ თანამშრომლობას – საკომუნიკაციო სისტემების დაცვას (კიბერუსაფრთხოების დონეზე). მეოთხე პუნქტი ეხება საქართველოს სამხედრო ძალების თავსებადობას ნატოსთან. პირველად ალიანსის მხრიდან საქართველომ მიიღო ასეთი მაღალი შეფასება. მეათე პუნქტი ალიანსის წევრობის სამოქმედო გეგმას ეხება. ჩრდილოატლანტიკური საბჭოს სხდომა, სავარაუდოდ, 7-8 სექტემბერს თბილისში გაიმართება.

ვახტანგ მაისაია: „მთლიანობაში, პოზიტივის გარდა, იყო ხარვეზებიც. მაგალითად, საქართველომ ამჯერადაც ვერ მიიღო MAP. მეტიც, დაიმსხვრა მყიფე იმედები, რომელსაც ქართველი პოლიტიკოსები გამოთქვამდნენ. თავდაცვის აწ უკვე ყოფილმა მინისტრი თინა ხიდაშელი აცხადებდა, რომ ნატოში MAP-ის გარეშეც შევიდოდით, მაგრამ ვარშავის სამიტმა დაადასტურა, რომ სამოქმედო გეგმის გარეშე გაწევრიანება ვერ მოხერხდება.

სემინარზე გამოითქვა მოსაზრებები იმის შესახებ, რომ მიმდინარეობს ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბება და ევროპის უსაფრთხოების დღეს არსებული სისტემა გადახედვას საჭიროებს. სამწუხაროდ, ჩვენი პოლიტიკოსები, ნატოს მესვეურთაგან განსხვავებით, საექსპერტო საზოგადოების აზრს ნაკლებად ითვალისწინებენ. ამიტომაც არის, რომ მსოფლიოში მიმდინარე გლობალური ცვლილებების ფონზე მათი რიტორიკა არ იცვლება. არადა, საქართველომ უშუალო მონაწილეობა უნდა მიიღოს უსაფრთხოების ახალი სისტემის ფორმირებაში.

# დასავლეთი თურქეთს იოლად არ დათმობს

სოსო ზაალიშვილი

სამხრეთის მიმართულებით, ახლო აღმოსავლეთის ფრთაზე რუსეთის დიპლომატიის გააქტიურებას კონკრეტული შედეგი მოჰყვა. მას შემდეგ, რაც რუსეთის პრეზიდენტი პუტინი ბაქოში ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტ როუჰანის შეხვდა და სტრატეგიულ თანამშრომლობასა და სამხრეთ-ჩრდილოეთის სატრანსპორტო ენერგეტიკული დერეფნის პროექტის ამოქმედებაზე შეთანხმდა, ირანმა რუსეთის სამხედრო კოსმოსურ ძალებს საკუთარ ტერიტორიაზე არსებული ავიაბაზა ჰამადანი დაუთმო.

ირანულ და არაბულ მედიაში უკვე გამოჩნდა რუსული ტუ-22-ის ფოტოები, რომლებიც ირანულ ავიაბაზაზეა განლაგებული.

ტუ-22 შორეული ავიაციის თვითმფრინავს წარმოადგენს. ამ ტიპის თვითმფრინავებს რუსეთი სირიაში უკვე იყენებდა. რუსული სამხედრო კოსმოსური ძალების ბომბდამშენები ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზეა განლაგებული, თუმცა ირანიდან ისლამური სახელმწიფოს მებრძოლებზე შეტევის შემთხვევაში ფრენის დრო 60 პროცენტით მცირდება, რაც ავიაციის მობილურობას უწყობს ხელს, მეორე მხრივ კი იძლევა შესაძლებლობას, უფრო მეტი საბრძოლო გაფრენა შესრულდეს. ჩრდილო ოსეთიდან პალმირამდე – 2 ათასი, ირანული ჰამადანიდან კი მხოლოდ 900 კმ-ია.

ირანის ტერიტორიაზე რუსული სტრატეგიული ავიაციის განლაგება არაბული სამყაროსთვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს. ირანისა და არაბების დაპირისპირებას წითელ ზღვაში ისტორიული საფუძვლები აქვს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ირანული ნავთობის რუსეთის გავლით დასავლურ ბაზარზე მოხვედრას არაბული სამყაროს ნავთობმომპოვებელი ქვეყნები ტაშით არ შეხვდებიან.

სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნების ერთგვარი თავდაცვის მექანიზმი ნავთობის ფასის წარმოების კონტროლია. საერთაშორისო ბაზარზე ნავთობის ფასის მატებითა და დაგდებით ისინი საკუთარი ინტერესების ლობირებას ეწევიან ევროპასა და ამერიკაში. არაბი მონარქები მათთვის სასარგებლო გადაწყვეტილებებს ალებინებენ დასავლური სამყაროს ლიდერებს.

ირანული ნავთობის მსოფლიო ბაზარზე გამოსროლა მათ საკუთარი ინტერესების დაცვის სტრატეგიის შეცვლას აიძულებს ანუ რუსეთის, ირანისა და თურქეთის კავშირი ამ თვალსაზრისითაც ცვლის საერთაშორისო უსაფრთხოების არქიტექტურას. არაბული კაპიტალი დიდი რაოდენობითაა დაბანდებული როგორც ამერიკულ, ასევე ევროპულ პოლიტიკაში. ეს ბოლოდროინდელ საერთაშორისო ასპარეზზე განვითარებულ მოვლენებზეც ახდენს გავლენას.

* * *

ირანში ჩრდილოეთ ოსეთიდან ავიაციის სტრატეგიულ გადასროლასთან ერთად რუსეთმა საკუთარი მოქმედებები გაააქტიურა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზეც. სახმელეთო საჯარისო ნაწილების წვრთნებში, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარეობს, ტანკსაწინააღმდეგო, საჰაერო თავდაცვითი სისტემების ნაწილებიც მონაწილეობენ.

რისთვის სჭირდება რუსეთს სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ასეთი წვრთნების ჩატარება, მაშინ როდესაც მას საქართველოს შეიარაღებული ძალებიდან საფრთხე არ ემუქრება? თუ ეს, უბრალოდ, დასავლეთისათვის კუნთების ჩვენების პოლიტიკაა?!

ქართული პოლიტიკური სპექტრი, რომელიც არჩევნების პროცესშია ჩართული, ამ კითხვებს არ პასუხობს. მთავრობაც და ოპოზიციაც, უკეთეს შემთხვევაში, რუსეთის მოქმედებების გაკიცხვის განცხადებებით იფარგლება, რის უკანაც რეალური ნააზრევი არ ჩანს. ისინი არ იკვლევენ ჩრდილოელი მეზობლის მოქმედების მიზეზებს.

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე ასეთი სახის მასშტაბურ სამხედრო წვრთნებს კონკრეტული დანიშნულება აქვს. იმ დროს, როდესაც თურქეთის პრეზიდენტი ერდოღანი რუსეთის პრეზიდენტის სურვილის აღმსრულებლად იქცა, რუსებს სამხრეთ ოსეთში საკუთარი საჯარისო ნაწილების წვრთნები და მუდმივი საბრძოლო მზადყოფნა არ უნდა სჭირდებოდეთ.

რუსეთი სამხრეთიდან მომავალი საფრთხეების მოგერიებისთვის ემზადება. რამდენიმე ხნის წინ ასეთივე წვრთნები აფხაზეთსა და ჩრდილო კავკასიაში ჩატარდა. ამის შემდეგ თურქეთში სამხედრო გადატრიალების მცდელობა მოხდა.

ის, რომ თურქეთის პრეზიდენტი ქვეყანაში სიტუაციას ვერ აკონტროლებს, ყველასთვის ცხადია. ისიც ფაქტია, რომ ერდოღანმა აშშ-ისა და ევროპის ქვეყნების სახით სერიოზული მოწინააღმდეგეები გაიჩინა. აგრეთვე ცხადია, რომ თურქეთისა და ირანის დაახლოება არაბული სამყაროს სტრატეგიულ ინტერესებს ეწინააღმდეგება. შესაძლოა, თურქეთში მიმდინარე პროცესები სხვა მიმართულებით განვითარდეს და რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე გამართული წვრთნები სწორედ ასეთი შესაძლო სცენარის კონტრარგუმენტია.



* * *

რა ძალებით შეუძლია დასავლეთს ერდოღანის ხელისუფლების შესუსტება ან ჩამოშორება? ყველაზე აპრობირებული მეთოდი არაბული გაზაფხულია.

სირიისა და ერაყის ტერიტორიაზე რამდენიმე ათეული ათასი მოჯაჰედი, აგრეთვე ქურთული შეიარაღებული ოპოზიცია სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს ერდოღანისთვის. თურქეთის სპეცსამსახურებში მრავლადაა ისეთი ადამიანი, რომლებიც პირდაპირ იყვნენ დაკავებული მოჯაჰედების მომზადებით, შეიარაღებითა და მათი ტრანსპორტირებით. მიუხედავად ერდოღანის მიერ არმიისა და სპეცსამსახურების მრავალი წარმომადგენლის დაპატიმრებისა, არა მგონია, მან სრულად მოახერხოს ძალისმიერი სტრუქტურების საკუთარი მოწინააღმდეგეებისაგან გაწმენდა. ამიტომ ჩნდება იმის ალბათობა, რომ ისლამური სახელმწიფოს ან ზომიერი სირიული ოპოზიციის გამოყენებით ნამდვილადაა შესაძლებელი თურქეთში არეულობის მოწყობა. ამას ემატება ლიბერალური, პროევროპული ოპოზიცია და ძალისმიერ სტრუქტურებში ერდოღანის მოწინააღმდეგეები.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ ასეთი სახის პროექტი ვერ გაამართლებს თურქეთში, ეს ქვეყანა, სირიის მსგავსად, დიდი ხნით გამოეთიშება ყოველგვარ ეკონომიკურ პროექტს. რუსული გეგმა, რომელიც ნატოს წევრი თურქეთის დახმარებით ერთიან ევრაზიული სამხედრო ეკონომიკური სივრცის შექმნას ითვალისწინებს, ჩავარდება.

სამხრეთ საზღვრებთან შექმნილი პრობლემა რუსეთის დასავლეთის მიმართულებით აღძრულ ამბიციებსაც მოაშთობს. რაც მთავარია, შეაჩერებს რუსული ბუნებრივი აირის ევროპაში ტრანსპორტირების გეგმას, აგრეთვე რუსული როსატომის მიერ თურქეთის ტერიტორიაზე ბირთვული რეაქტორების მშენებლობის ახალ პროექტსაც.

რუსეთისთვის ცხადია, რომ დასავლეთი თურქეთს იოლად არ დათმობს და სწორედ ამიტომ ამაგრებს თავდაცვის მეორე ეშელონს, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში დისლოცირებულ ნაწილებს.

თურქეთთან დაკავშირებით რუსეთს ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა აქვს. თურქეთი ნატოს წევრი ქვეყანაა. თუ თურქეთში ერდოღანის ჩანაცვლების ოპერაცია დაიწყება, დიდი შანსია, დასავლეთმა პირდაპირ დაუჭიროს მხარი აჯანყებულებს. სწორედ აჯანყებული მხარე გახდება ნატოს სამართალმემკვიდრე. მას ექნება შესაძლებლობა, მოითხოვოს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წესდების მე-5 მუხლის გამოყენება, თუ, დავუშვათ, რუსეთი ისევე, როგორც სირიაში, კანონიერად არჩეული პრეზიდენტის ანუ ერდოღანის მხარეს დაიჭერენ და მას სამხედრო ძალით დახმარებას შესთავაზებს.

სწორედ შექმნილი ვითარება უნდა განვიხილოთ ხმელთაშუა ზღვაში თურქეთის დასავლეთ სანაპიროზე დაწყებული რუსული საზღვაო მანევრების დაწყების მიზეზად. ბოსფორის სრუტეს ერდოღანი აკონტროლებს, შავი ზღვიდან მას საფრთხე არ ემუქრება, სამაგიეროდ, საფრთხე ხმელთაშუა ზღვიდან მომდინარეობს. ის აღარ ენდობა საკუთარ შეიარაღებულ ძალებს და მისი საზღვაო სანაპიროს დაცვა თავის თავზე რუსეთმა აიღო.

* * *

ჩვენთვის მნიშვნელოვანია, თუ რა გავლენას იქონიებს ყოველივე ის, რაც თურქეთში ხდება, საქართველოზე. ნებისმიერი მოსალოდნელი არეულობა თურქეთში ავტომატურად იმოქმედებს საქართველოზეც. რუსული შეიარაღებული ძალები დიდი ალბათობით მეტად გააქტიურდებიან, რაც არჩევნების წინა პერიოდში პროდასავლურ ძალებს ოკუპაციის თემით სპეკულირების დაწყების საშუალებას მისცემს.

პროცესი პრაქტიკულად დაწყებულია, როდესაც ყოვლად ურეიტინგო ცენტრისტების არჩევნებიდან მოხსნის საკითხი დადგა დღის წესრიგში. გააქტიურდებიან პრორუსული ძალები, რომლებიც მოსკოვთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობის მომხრეები არიან, თუმცა, რა სახით უნდა ითანამშრომლოს საქართველომ რუსეთთან, ამას რატომღაც საკუთარ გულებში ინახავენ. აგრეთვე საინტერესოა, როგორ აპირებს საქართველოს მომავალი მთავრობა მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვას იმ შემთხვევაში, თუ თურქეთში პროცესებმა არაპროგნოზირებადი ხასიათი მიიღო.

ბაზების გადაცემის თემა დღეს აქტუალური აღარაა. რუსეთს ყველა სტრატეგიული ტერიტორია დაკავებული აქვს და ამისთვის საქართველოს მთავრობის ნებართვა არ მოუთხოვია, სამწუხაროდ, თუ მათ დასჭირდათ, საქართველოს ტერიტორიაზე ისე შეიცვლიან დისლოკაციის ადგილს, ვერავინ შეაჩერებს.

რუსეთისთვის პრობლემას თურქეთში არეულობის დაწყება წარმოადგენს და ამის პროვოცირება საქართველოდან შეუძლებელია. თურქეთში არაბული გაზაფხულის მსგავსი პროცესების დაწყების შემთხვევაში კი საქართველოს მართლაც შეექმნება პრობლემა.

ევრაზიული კავშირი, რომლის წევრობა ქართული პროდასავლური და პრორუსული პოლიტიკოსების განხეთქილების ვაშლს წარმოადგენს, პრაქტიკულად უკვე შედგა.

თუ ევროკავშირი და ჩრდილოატლანტიკური ალიანსი უახლოეს პერიოდში თურქეთთან ურთიერთობის მოგვარებას ვერ მოახერხებს, თურქეთთან ერთად ის კავკასიასაც დაკარგავს.

## შსს-მ აჭარაში განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკი ამოიღო



სამართალდამცველებმა 1970 წელს დაბადებული თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე ა.ე. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით ბათუმში დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-დან აცნობეს, სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი და ნაქირავები ბინის ჩხრეკისას 48 აბი სუბოქსინი ამოიღეს, რომელიც, ექსპერტიზის დასკვნით, ბუპრენორფინს შეიცავს.

თელავის მუნიციპალიტეტი, სოფ. ვარდისუბნის ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი**

71 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)**

7,1 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი**

236 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 19 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 17 სექტემბერს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 17 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 17 სექტემბერს დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა**

25 წელი

**14. სხვა მონაცემები**

აუქციონზე დაფიქსირებული საბო-ლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენ-დარული დღის ვადაში



# შოთა არველაძე: „აიაქსს ამბიცია აღარ აქვს“

ქართველი მწვრთნელი შოთა არველაძე ამჟამად თელ-ავივის მაკაბის წვრთნის, მანამდე კი ჰოლანდიურ და თურქულ კლუბებშიც უმუშავია. საფეხბურთო კარიერის დროსაც დიდი დრო გაატარა ჰოლანდიაში და ამიტომაც, მისი აზრით, რუსები დაინტერესდნენ, რადგან იქაურ როსტოვს სწორედ ის აიაქსი შეხვდა, სადაც შოთის უთამაშია.

***– წილისყრის შემდეგ ბევრმა სპეციალისტმა ივარაუდა, რომ როსტოველებს გაუმართლათ.***

– შესაძლოა. რა თქმა უნდა, ამსტერდამში ყოველთვის იცოდნენ და იციან ფეხბურთის თამაში. თუმცა, ამჟამად აიაქსი ის გუნდი არაა, რაც ადრე იყო. დიდ ტრანსფერებს აღარ ახორციელებს და ძირითადად ადგილობრივი ფეხბურთელები თამაშობენ – ეს იქნება თავისი აკადემიიდან თუ სხვა ჰოლანდიური კლუბებიდან. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში აიაქსი საჩუქარი არავისთვისაა. გუნდში ახალი მთავარი მწვრთნელია – პეტერ ბოში. ის ძალიან მომწონს, რადგან ყოველთვის შემტევ ფეხბურთს თამაშობს. აბა სხვა კიდევ ვინ უნდა შეხვედროდა როსტოვს?

***– სიტი, რომა, ვილიარეალი...***

– მაშინ, ყველაფერი ნათელია. მეტი კითხვა არ მაქვს. ამასთანავე, როსტოვი ფიზიკურად აიაქსზე 100-ჯერ ძლიერი და სწრაფია.

***– სად გაქრნენ მაღალი დონის მოთამაშეები, რომლებიც ადრე ამსტერდამელებს საკმარისზე მეტი ჰყავდათ?***

– თუ ვინმე ევროპაში ყურადღებას მიიქცევს, მაშინვე ყიდიან. დიდი ხნით არ აჩერებენ. როგორც კი, 10, 15, 20 მილიონს სთავაზობენ, მოთამაშეებს მაშინვე ემშვიდობებიან. ჩემი აზრით, არასწორი ფილოსოფიაა. თუმცა, ახლა კლუბი ამგვარად ცხოვრობს. ფიქრობენ, რომ ასე უკეთესია, მაგრამ არ ვიცი, ვისთვის. აიაქსში ესმით, რომ რთულია კონკურენციის გაწევა კლუბებისთვის, რომლებსაც უზარმაზარი ბიუჯეტები აქვთ. ამ შემთხვევაში ინგლისს, ესპანეთს, იტალიას, გერმანიას, საფრანგეთს ვგულისხმობ. რუსეთთან და უკრაინასთან კონკურენციაც ძნელია. მარტო შახტარი რად ღირდა. თუმცა, ამის მიუხედავად, მე არ მომწონს, აიაქსი ევროპაში როგორც იქცევა. კლუბს ადრინდელი ამბიცია არ აქვს.

***– ამჟამად აიაქსის წამყვანი ფეხბურთელები ვინ არიან?***

– პოლონელი მილიკი გაყიდეს და გამოკვეთილი ლიდერები არ ჰყავთ. აიაქსი გუნდური თამაშითაა ძლიერი და ყოველთვის თავის სტილს ინარჩუნებს – უპირატესობას ბურთის ხანგრძლივ ფლობასა და შემტევ ფეხბურთს ანიჭებს.

***– დიდი ხანია ძმებ დე ბურებთან მეგობრობთ, ხშირად ურთიერთობთ. ფრანკი აიაქსიდან რატომ წავიდა?***

– მან 6 სეზონი საუცხოოდ იმუშავა. საწყის 4 სეზონში ჰოლანდიის ჩემპიონატი მოიგო. ბოლო 2 წელი მისთვის იოლი არ იყო. იმ ფეხბურთელებს, ვისაც ამზადებდა, მაშინვე ყიდიდნენ. ფრანკმა გუნდის შეცვლა გადაწყვიტა. მით უმეტეს, მას წინადადებები ჰქონდა – 2 ინგლისური კლუბი ეპატიჟებოდა. მოსალაპარაკებლადაც კი იმყოფებოდა. თუმცა, მოგვიანებით მილანის ინტერისგან ძალიან კარგი წინადადება მიიღო. იმედია, ყველაფერი გამოუვა.

***– ბოშს მაღალი დონის ტაქტიკოსად მოიხსენიებენ. როგორ ფიქრობთ, ტრადიციულ სქემა 4-3-3-ს შეცვლის?***

– არა მგონია, ასე მოიქცეს. თუმცა, პეტერი მართლაც საინტერესო მწვრთნელია – ჭკვიანი სპეციალისტია.

***– თქვენ ხომ ის თელ-ავივის მაკაბიში შეცვალეთ?***

– მადლობა გაწეული სამუშაოსთვის და ჩემთვის დატოვებული შთამომავლობისთვის. მაკაბიში თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. ხალხიც კარგია და გუნდში საუცხოო ატმოსფეროა. შურა უვაროვი ძალიან მეხმარება.

***– თქვენი კარგი ნაცნობის ლუის ვან გაალის საქმე როგორაა? როდის დაბრუნდება?***

– ის სამუშაოდ რუსეთსა ან ბელგიაში სიამოვნებით წავიდოდა. თუმცა, ამ ქვეყნების ნაკრებებში მთავარი მწვრთნელები უკვე დანიშნულია. ლუის ყოველთვის სურდა სამხრეთ ამერიკაში წასვლა – ბოკა ხუნიორსში, რივერ პლეიტში ან არგენტინის ნაკრებში. არ ვიცი მისი სურვილი ახდება თუ არა. ალბათ, წელიწადს მოიცდის და შემდეგ გამოჩნდება.

## შედეგები

**15-16 აგვისტო**

**ოლიმპიადა**

**კალათბურთი**

| | |
|---|---|
| ნიგერია-ბრაზილია | 69:86 |
| ესპანეთი-არგენტინა | 92:73 |
| ლიტვა-ხორვატია | 81:90 |

**წყალბურთი**

**ქალები**

| | |
|---|---|
| ბრაზილია-აშშ | 3:13 |
| ავსტრალია-უნგრეთი | 8:8 (3:5პ) |
| რუსეთი-ესპანეთი | 12:10 |
| იტალია-ჩინეთი | 12:7 |

**ფრენბურთი**

**კაცები**

| | |
|---|---|
| არგენტინა-ეგვიპტე | 3:0 |
| აშშ-მექსიკა | 3:0 |
| რუსეთი-ირანი | 3:0 |
| პოლონეთი-კუბა | 3:0 |
| იტალია-კანადა | 1:3 |
| ბრაზილია-საფრანგეთი | 3:1 |

**ხელბურთი**

**კაცები**

| | |
|---|---|
| პოლონეთი-სლოვენია | 20:25 |
| გერმანია-ეგვიპტე | 31:25 |
| საფრანგეთი-დანია | 33:30 |
| შვედეთი-ბრაზილია | 30:19 |
| ხორვატია-ტუნისი | 41:26 |
| კატარი-არგენტინა | 22:18 |

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **ინგლისი. პრემიერლიგა** | |
| ჩელსი-ვესტ ჰემი | 2:1 |
| **გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა** | |
| უნიონი-დინამო | 2:2 |
| **საფრანგეთი. მე-2 ლიგა** | |
| ნიმი-ლანსი | 0:2 |
| **პორტუგალია. პრიმეირა ლიგა** | |
| ეშტორილი-ფეირენსე | 0:2 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | |
| ორენბურგი-ამკარი | 0:0 |
| **პოლონეთი. ექსტრაკლასა** | |
| პლოცკი-იაგელონია | 1:0 |
| **დანია. სუპერლიგა** | |
| ოლბორგი-ესბიერგი | 2:1 |
| **შვედეთი. ალსვენსკა** | |
| სუნდსვალდი-ჰამარბი | 0:0 |
| **ფინეთი. ვეიკაუსლიგა** | |
| ჰიკი-კუუპიო | 2:3 |

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# საქართველოს მედლებში უჭირს, ოლიმპიადას ქართველი სხვისი სახელით იგებს

**ოლიმპიური თამაშების დასრულებამდე სულ ცოტა დარჩა და საქართველოს ანგარიშზე ისევ ორი მედალია. საქმეში კიდევ 4 ქართველი სპორტსმენი ვიხილეთ, მაგრამ საპრიზო სამეულისთვის ბრძოლას ყველა საწყისი ეტაპიდან გამოეთიშა.**




ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე რობერტ კობლიაშვილმა (85 კგ) შეჯიბრება მექსიკელ ალფონსო ანტონიო ლეივა ლოპესთან დაჭიდებით გახსნა და მეტოქეს 5:0 მოუგო. მეორე წრეში გერმანელ დენის მაქსიმილიან კუდლასთან შეხვედრა ფრედ 1:1 დაასრულა და ბოლო ქულის უპირატესობით მერვედფინალში გერმანელი გავიდა. ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლის გასაგრძელებლად კობლიაშვილს კუდლას ფინალამდე მისვლა სჭირდებოდა, მაგრამ რეპეშაჟის შანსიც მალევე დაიკარგა.

85 კილოგრამში ოლიმპიური ჩემპიონი რუსეთის სახელით მოჭიდავე დავით ჩაკვეტაძე გახდა, რომელიც წლების წინ მედლებს საერთაშორისო არენაზე საქართველოს ასაკობრივ ნაკრებში იხვეჭდა.

სხვათა შორის, როდესაც ჩაკვეტაძემ ფინალში უკრაინის წარმომადგენელი ჟან ბელინიუკი დაამარცხა, მსაჯი ქართველი თემურ ყაზარაშვილი იყო. შესაძლოა, ამიტომაც არის, რომ ჩაკვეტაძის გამარჯვებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია უკრაინაში.

უკრაინელები ეჭვობენ, რომ ქართველი მსაჯი თანამემამულე მოჭიდავეს დაეხმარა. ამასთან დაკავშირებით განცხადება სოციალურ ქსელში ქვეყნის სპორტის მინისტრმა იგორ ჟდანოვმაც გაავრცელა.

– ვფიქრობ, ჟან ბელენიუკს ოლიმპიადაზე დამსახურებული ოქრო წაართვეს. შეხვედრის დასრულების შემდეგ სწორედ ეს ვუთხარი მას ტელეფონით საუბრისას. ჩვენთვის ჟან ბელენიუკი ნამდვილი ჩემპიონია! ხოლო იმას, რასაც უსამართლო სპორტულ შეჯიბრში მიითვისებ, არ შეიძლება ოლიმპიურ თამაშებზე გამარჯვება ეწოდოს.

წარუმატებლად იასპარეზა მძლეოსანმა ლაშა თორღვაიძემ. სამხტომში საკვალიფიკაციო ეტაპზე მან სამივე ცდა გააცუდა და, შესაბამისად, შეჯიბრება უქულოდ ჩაამთავრა.

საქმეში ძალოსანი გიორგი ჩხეიძეც (105 კგ) ჩაერთო. ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა უფროსებში ამ რანგის შეჯიბრებაზე პირველად მიიღო მონაწილეობა და დებიუტი არ გამოუვიდა.

ჩხეიძე ბ ჯგუფში გამოვიდა და ორი მოძრაობის ჯამში 6 ცდიდან მხოლოდ 2 გამოიყენა. ორივე ატაცში – 165 და 170 კილოგრამები, აკვრაში კი შტანგა ერთხელაც ვერ დაიმორჩილა.

# ჭაბუკი ხელბურთელები ბოსნიასთან დამარცხდნენ




**ბოსნია-საქართველო 32:19**

**ბოსნია:** გრბავაცი, ჰაშიჩი; კარანოვიჩი (6 ბურთი), სივიჩი (6), ზელიჩი (4), გრგიჩი (3), ჰამზიჩი (3), ჰასელიჩი (3), იოზინოვიჩი (3), კრეშო (2), პრიმორაცი (2), ბულინა

**საქართველო:** ხანდოლიშვილი, ხარაიშვილი, ვათიაშვილი; მიქავა (4), რუსტამოვი (4), ბაჯალაძე (3), ცხოვრებაძე (3), გოგავა (1), იობაშვილი (1), ყორიაული (1), ლაპიაშვილი (1), ზარნაძე (1), ბაინაზიშვილი, ბულბულაშვილი, ხელაძე, ტიელიძე

ევროპის 18-წლამდელთა ჩემპიონატის პირველ ტურში საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებმა ახალ სპორტის სასახლეში ბოსნიასთან 19:32 წააგო.

ქართველებმა ერთადერთხელ, მატჩის დასაწყისში გაათანაბრეს ანგარიში (1:1), შემდეგ რამდენიმე რთული დარტყმა მოიგერია მეკარე ხანდოლიშვილმა და კარგა ხანს მხოლოდ ერთი ბურთით ვაგებდით, მაგრამ ამის შემდეგ ბოსნიამ სწრაფად დაიწყო უპირატესობის ზრდა, მასპინძლების მიერ დაშვებული შეცდომების რიცხვმა კი ყოველგვარ დასაშვებ ზღვარს გადააცილა და პირველი ტაიმის შუაში 2:10 ვაგებდით, ხოლო შესვენებაზე სხვაობა უფრო სოლიდური იყო – 5:14.

რაც მთავარია, უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს ნაკრებს ძალიან უჭირდა კომბინირებული თამაში და პირველ ტაიმში გატანილი 5 ბურთიდან მხოლოდ 1 გავიტანეთ თამაშიდან, დანარჩენი 4 კი, 7-მეტრიანი პენალტით გავიტანეთ.

მეორე ტაიმის შუაში სხვაობა უკვე 15 ბურთი იყო (23:8) და მასპინძლებმა მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყეს გოლების რეგულარულად გატანა. საბოლოოდ, 19:32.

საქართველოს ნაკრებში საუკეთესო მეკარე ხანდოლიშვილია, ხოლო ბოსნიის გუნდში – ფილიპ ზელიჩი.

**რუმინეთი-ლატვია 32:28**

ჩვენივე ჯგუფში რუმინეთი მთელი თამაშის განმავლობაში წინ იყო, მიუხედავად იმისა, რომ ლატვიელთა საუკეთესო მოთამაშემ, რაივის გორბუნოვსმა 15 მცდელობიდან 12 გოლი გაიტანა, რუმინეთს ამაზე ყოველთვის მოეპოვებოდა კონტრარგუმენტი და გუნდურ თამაშშიც უკეთესი იყო. რუმინელთა შორის საუკეთესო მოთამაშის პრიზი იონუც ბროასკამ მიიღო (6 გოლი), მასზე მეტი კი კალინ კაბუცმა გაიტანა – 7.

**ბ ჯგუფი:** მონტენეგრო-ბრიტანეთი 38:23; ბელარუსი-ბელგია 39:24;

# 16 წლამდე კალათბურთელებმა ჩეხებთან ბრძოლაში წააგეს

საქართველოს 16 წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე (ბ დივიზიონი) ჩეხეთის წინააღმდეგ ითამაშა და თავიდან ბოლომდე თანაბარ მატჩში 2 ქულის სხვაობით დამარცხდა. წაგება გულდასაწყვეტია, მით უმეტეს, რომ მოგება ახლოს იყო.

ჩეხეთის დარ გუნდებთან დაძაბული ბრძოლა ჩვენი კალათბურთელებისთვის ძალიან სასარგებლოა. ქართველ კადეტებს ოთხი მატჩის შემდეგ ერთი მოგება აქვთ და ველარ დაეწევიან 3-3 გამარჯვების მქონე სლოვაკეთს, ბელგიას და ჩეხეთს. ექვსგუნდიანი ჯგუფიდან კი ჩემპიონობისთვის ბრძოლას მხოლოდ ორი განაგრძობს. შესაბამისად, ჩვენს გუნდს ჯგუფური ეტაპის შემდეგ საკლასიფიკაციო მატჩებში მოუწევს თამაში.



ჩეხეთთან მოგება შეიძლებოდა. ამის დასტურად ერთ სტატისტიკურ მონაცემს შემოგთავაზებთ. საქართველოს ნაკრებმა 24 საჯარიმო სტყორცნა და მხოლოდ 12 ჩააგდო. 50-პროცენტიანი სიზუსტით სამქულიანების სროლაა კარგი მაჩვენებელი, თორემ, საჯარიმოები 80 პროცენტზე ქვემოთ უკვე ცუდი შედეგია. მით უმეტეს, ასეთ დაძაბულ მატჩში. სამქულიანები ვახსენეთ და როგორ შეიძლება ოთარ პერტაიას ავუაროთ გვერდი. საქართველოს ნაკრების გამთამაშებელმა 40 წუთი ითამაშა, 6 სამქულიანი სტყორცნა და 5 ჩააგდო. მშვენიერი შედეგია. ამას ოთარმა 5 ორქულიანი, 3 საჯარიმო მიამატა და 28 ქულამდე ავიდა.

მატჩის მიმდინარეობა კი ძალიან დაძაბული იყო, საწყისი 2 მეოთხედი ქართველებმა თითო ქულით მოიგეს და დიდ შესვენებას ლიდერობით შეხვდნენ. მესამე მეოთხედი ჩეხებმა 3 ქულით იმარჯვეს და დასკვნითი 10-წუთეულის წინ თავად გალიდერდნენ. ბოლო პერიოდში ბოლომდე იბრძოლა ბუბა ბერიშვილის გუნდმა, მაგრამ მაინც დამარცხდა – 70:72.

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება – დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება – 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# ირანში რუსული სამხედრო თვითმფრინავები განალაგეს



ირანის ხელისუფლებამ თანხმობა განაცხადა, რომ ჰამადანსის ავიაბაზაზე რუსეთის სამხედრო-კოსმოსური ძალების თვითმფრინავები განელაგებინა.

აქედან რუსები სირიაში საბრძოლო გაფრენებს განახორციელებენ.

# აზერბაიჯანში გიულენის მიმდევართა დევნა დაიწყო



აზერბაიჯანში გიულენის მომხრეთა დევნა დაიწყო. რამდენიმე მათგანის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

– ერდოღანი ჩვენი მეგობარია, ამიტომ ყველაფერში გვერდით დავუდგებით, – განაცხადა ილჰამ ალიევმა.

თურქეთი მხარს უჭერდა აზერბაიჯანს ყარაბაღის კონფლიქტის დროს. აზერბაიჯანმა ასევე მხარი დაუჭირა თურქეთს რუსეთთან კონფრონტაციის პერიოდში.

# პრინცი ჩარლზი მთიელთა თამაშებს დაესწრო



დიდი ბრიტანეთის პრინცი ჩარლზი და მისი მეუღლე კამილა შოტლანდიაში მთიელთა თამაშებს დაესწრნენ. წყვილი ღონისძიებაზე კილტებში გამოწყობილი გამოცხადდა.

ბრიტანეთის სამეფო ოჯახის წარმომადგენლები ადგილობრივ მაყურებლებს შეხვდნენ, რომლებიც 2015 წლის დეკემბრის წყალდიდობის შედეგად დაზარალდნენ. როგორც აბერდინშირის ლორდ-ლეიტენენტმა ჯეიმს ინგლბიმ განაცხადა, პრინცი ჩარლზი აქტიურად მონაწილეობდა რეგიონის აღდგენაში.

პრინცი და მისი მეუღლე ზაფხულის შვებულებას ტრადიციულად შოტლანდიაში ბირკჰოლის მამულში ატარებენ. აღსანიშნავია, რომ წყალდიდობის დროს სამეფო რეზიდენციაც დაზიანდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# გერმანიის მმართველი პარტია უკრაინისათვის ლეტალური იარაღის მიწოდებას მხარს უჭერს

გერმანიის ქრისტიან-დემოკრატიულმა კავშირმა, რომელიც დღეს ხელისუფლებაში იმყოფება, უკრაინისათვის ლეტალური იარაღის მიწოდებას მხარი დაუჭირა.



ამის თაობაზე ამ კავშირის წევრმა და ევროპარლამენტის დეპუტატმა ბლიუკმა განაცხადა. მან თქვა, რომ უკრაინა რუსეთის აგრესიის რეალური საფრთხის ქვეშ იმყოფება და ამის იგნორირება არ შეიძლება.

– უკრაინელებმა დაამტკიცეს, რომ ბრძოლა შეუძლიათ, ამიტომ უნდა დავეხმაროთ, – თვლის ბლიუკი.

გერმანელი ქრისტიან-დემოკრატების აზრით, რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციები უნდა გაგრძელდეს. ბლიუკმა ხაზი გაუსვა იმას, რომ მინსკის შეთანხმებები ჩაიშალა და ამაზე პასუხისმგებელი მხოლოდ რუსეთია.

– სანქციების გაუქმებას აზრი არ აქვს, – თქვა ბლიუკმა.

# რუსებს დიქტატურა სურთ

ლევადა-ცენტრის გამოკითხვით, რუსეთის მოქალაქეთა 67% 1991 წლის აგვისტოს პუტჩის ჩახშობას ტრაგიკულ მოვლენად მიიჩნევს, რადგან ამას საბჭოთა კავშირის დაშლა მოჰყვა. შეკითხვაზე, დღეს რომ მსგავსი პუტჩი მოხდეს, დემოკრატიის დასაცავად თუ გამოხვალთო, დადებითი პასუხი მხოლოდ 16%-მა გასცა, 44%-მა კი განაცხადა, რომ იარაღით ხელში მხარს პუტჩისტებს დაუჭერდა.

რუსების 72%-ს სურს სტაბილურობა და წესრიგი. ამას ისინი ამჯობინებენ დემოკრატიულ რეფორმებს, სიტყვის თავისუფლებას, და ა.შ.

რუსეთის მოქალაქეთა 72% კორუფციას კანონზომიერ მოვლენად მიიჩნევს და თვლის, რომ მასთან ბრძოლა უშედეგო იქნება.

შეკითხვაზე, თუ რომელ რუს მოღვაწეს მიიჩნევენ გმირად, 60%-მა იოსებ სტალინი დაასახელა. რუსეთის იმპერიის დამაარსებელი პეტრე პირველი მეორეზეა, შემდეგ მოდიან ეკატერინე მეორე, ივანე მრისხანე, პეტრე სტოლიპინი.

პირველ ათეულში, სტალინის გარდა, საბ-



ჭოთა ეპოქის მოღვაწეთაგან მხოლოდ გენერლები ჟუკოვი და როკოსოვსკი მოხვდნენ.

პირველ ათეულში ვერ მოხვდა ვერც აკადემიკოსი სახაროვი და დისიდენტური მოძრაობის ვერცერთი მონაწილე.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**


**წვერსაპარსი PHILIPS**
**50 ლარი 90-ის ნაცვლად**

✓ მოძრავი პირები, რომლებიც იმეორებს თქვენი სახის კონტურს;
✓ მოქნილი ერგონომიკა ოპტიმალური ხმარებისთვის;
✓ სამუშაო ძაბვა 220 ვტ;
✓ გასაწმენდი ჯაგრისი;
✓ აკუმულატორი;
✓ მოჰყვება დამტენი;
✓ დატენვის ინდიკატორი;
✓ ბაკების გასასწორებელი;
✓ ორმაგი უჟანგავი რკინის პირი;
✓ მუშაობს შიდა აკუმულატორზე;
✓ ტრიმერი ბაკების და ულვაშების გასასწორებლად;



**სმენის აპარატი 45 ლარად 90 ლარის ნაცვლად**

1.ხმის გაძლიერება 50дБ.–120
2.ხმის რეგულირება.
3.ერგება ორივე ყურზე.
4.პატარა,მსუბუქი,შეუმჩნეველი.
5.კომპლექტშია:მოწყობილობა 1 ც
რბილი რეზინები ყურებისთვის 3ც.
ელემენტები LR41 –
ჩასადები ყუთი,ინსტრუქცია.



**შეიძინეთ Mozer-1800 – პროფესიონალი გერმანული თმის საკრეჭი!**
**50 ლარად 95 ლარის ნაცვლად**





ძრავი: 6 000 ბრ/წთ
ხმაურის დაბალი დონე;
საწმენდი ჯაგრისი, დანების ზეთი;
ხუთი საკრეჭი თავი
მასალა - უჟანგავი ფოლადი.

მაღაზია Stop&Shop
დარეკეთ წინასწარ! ☎: 2-182-186.
მის: ვაჟა-ფშაველას №79. (უკანა მხარე)
579 885 996




# ცნობილმა მზარეულებმა საჭმელები რიოს ღატაკებისთვის მოამზადეს

ცნობილმა მზარეულებმა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან რიო-დე-ჟანეიროს ყველაზე ღარიბი მცხოვრებლებისთვის საჭმელები მოამზადეს. საჭმელების მოსამზადებლად გამოყენებული იყო პროდუქტები, რომლებიც ოლიმპიური სოფლიდან იყო მათთვის გადაცემული.

საქველმოქმედო პროექტს საფუძველი შეფ-მზარეულებმა, იტალიელმა მასიმო ბოტურამ და ბრაზილიელმა დავიდ ჰერტცმა ჩაუყარეს. პროექტის მიზანს წარმოადგენდა დღეში 5 ათასი პორციის დამზადება იმ ინგრედიენტების გამოყენებით, რომლებიც შესაძლოა, უბრალოდ, გადაეყარათ.

ჰერტცის თქმით, ეს შესაძლებელია ყოფილიყო „შეუხედავი" ხილი და ბოსტნეული, ასევე იოგურტები, რომელთაც ვარგისიანობის ვადა ამოეწურათ.

საქველმოქმედო პროექტი ოლიმპიური და პარაოლიმპიური თამაშების ბოლომდე გაგრძელდება. შემდეგ კი ის სპეციალური ბიზნესი გახდება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო


# ასტროპროგნოზი
## 17 აგვისტოსთვის



**ვერძი** – ჯანმრთელობასთან დაკავშირებით მცირე პრობლემა წარმოიშობა. ეს არ იქნება სერიოზული ავადმყოფობა. ყურადღება მიაქციეთ საკვების ხარისხს. **კურო** – პლანეტები გმფარველობენ. თუ დაგჭირდათ, ახლობლები და მეგობრები დახმარების ხელს გამოგიწვდიან. **ტყუპები** – კრიტიკული დღეა, სრულიად შეუფერებელი ახალი საქმის დასაწყებად, სამომავლო გეგმების შესამუშავებლად. ერიდეთ კონფლიქტში ჩართვას. **კირჩხიბი** – წარმატება გელით შემოქმედებით სფეროში, ასევე, შესაძლოა, სარფიანი გარიგება შემოგთავაზონ. დათანხმდით და ნახავთ, რომ არ ინანებთ. **ლომი** – წინააღმდეგობრივი, რთული დღეა, შესაძლოა, გარკვეულ კომპრომისზე წასვლა მოგიხდეთ. ფულს იოლად ნუ დახარჯავთ. **ქალწული** – მოსალოდნელია მსხვილი შენაძენი, თუმცა ვარსკვლავები გაფრთხილებენ – ზომიერება დაიცავით. სიახლეა ინტიმურ ურთიერთობებში. **სასწორი** – ბიზნესპარტნიორების ანკესს არ წამოეგოთ. ყველაფერი კარგად გააანალიზეთ და ისე იმოქმედეთ. **ღრიანკალი** – ნუ იაქტიურებთ. ძალიან ნუ გადაიღლებით. მსხვილ შენაძენს ნუ გააკეთებთ. ფინანსებს გაუფრთხილდით.**მშვილდოსანი** – ფულს შოულობთ. კარგი დღეა საყიდლებზე წასასვლელად. ნავაჭრი იღბლიანი იქნება. **თხის რქა** – ნებისმიერი კომერციული აქტიურობა ფინანსური კრახით დასრულდება. არ გარისკოთ. მძიმე წუთებში ახლობლები დაგეხმარებიან. **მერწყული** – კრიტიკული დღეა. დღეს ნებისმიერი პრობლემის მოგვარება თქვენგან დიდ ენერგიასა და ძალისხმევას მოითხოვს. წვრილმანებს მეტი ყურადღება მიაქციეთ და გაითვალისწინეთ. **თევზები** – თუ აქტიურად დასვენება გადაწყვიტეთ, ნაცნობმეგობრებიც აიყოლიეთ. კარგად გაერთობით. წარმატება გელით სიყვარულში.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. ღვინის მწარმოებელი ერთ-ერთი უმსხვილესი ამერიკული ფირმა; 2. მინერალი, ნახევრად ძვირფასი ქვა, კვარცის ნაირსახეობა; 3. გერმანელი მრეწველი, ოპტიკური მინების წარმოების ფუძემდებელი; 5. თოთხმეტ ტაეპიანი ლექსი; 6. გაუთლელი ხის მორებით ნაგები სახლი სამეგრელოში; 9. პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი ჭიდაობაში; 10. აეროპორტი რომში; 11. შვეიცარული ფარმაცევტული ფირმა; 14. ფუტკრის სადგომი; 16. ტერიტორიული ერთეული ირანში; 18. კანადელ ესკიმოსთა ყინულის ქოხი.

**თარაზულად**: 1. ნიადაგის დასამუშავებელი აგრეგატი; 4. ამერიკელ კომპოზიტორ იგორ სტრავინსკის ბალეტი; 7. გამცემლობა, ვერაგობა, ორგულობა; 8. კუთხე საქართველოში; 12. ზღვის დიდი კიბორჩხალა; 13. მკვახე, უმწიფარი ყურძენი; 15. ფულის გამოშვება; 17. კედელზე საკიდი ელექტრონათურა; 19. პირობითი, საიდუმლო ნიშნებით შედგენილი ჩანაწერი; 20. ალპინისტთა ბანაკი სვანეთში; 21. კლიმატური კურორტი ხაშურის რაიონში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჰუნდაი; 2. კერი; 3. კონსტანტა; 4. ზონდი; 5. სინდიყი; 8. ხალისი; 9. პარანგონი; 12. ბახალა; 14. არმაზი; 16. ატაშე.

**თარაზულად:** 1. ჰინდიკუში; 6. კოხინორი; 7. ნუსხური; 9. პრუსია; 10. რიფი; 11. მიუსერა; 13. წყალი; 15. ლაზიკა; 17. ჰარლემი; 18. პანიკა; 19. აიაზმა; 20. შეგირდი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. წეკო; 2. ასადი; 3. ბრავო; 5. ამპერი; 6. კიმიგაიო; 9. კონსილიუმი; 10. ბადაგონი; 11. სეგიდელია; 14. ბზა; 16. გვრინი; 18. საბა.

**თარაზულად:** 1. წულაძე; 4. აკაპულკო; 7. ვალიზა; 8. ვიმპელი; 12. უნცია; 13. ობლიგო; 15. ყავარი; 17. სია; 19. კულტივატორი; 20. რიალი; 21. ტალინი.

## განცხადებები

● გიწვევთ ოფისში სამუშაოდ, აუცილებელია რუსული ენის ცოდნა. ტელ: 555-288-098.

**მკურნალობა**

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.


## მკურნალობა მამაკაცებისთვის!

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: ალმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.


# ქართველი ბასბარიტონი პალერმოს ლეგენდარულ თეატრში იმღერებს



ახალგაზრდა ქართველი საოპერო მომღერალი, ბას ბარიტონი აკაკი იოსელიანი პალერმოს ლეგენდარულ თეატრში იმღერებს. მომღერალმა, რომელიც უკვე 3 წელია იტალიაშია, შემოქმედებით გზაზე არაერთ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია.

16-18 სექტემბერს ქართველი საოპერო მომღერალი იმღერებს იტალიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თეატრში რესპიგის ოპერაში „მეფე ენცო“ პოდესტას მთავარ პარტიას.

23-25 სექტემბერს კი შედგება მისი დებიუტი პალერმოს ლეგენდარულ მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო თეატრში, სადაც ჯოაკინო როსინის ოპერაში „სევილიელი დალაქი“ ბაზილიოს პარტიას შეასრულებს.

**აკაკი იოსელიანი:**

– თბილისის კონსერვატორიის დასრულების შემდეგ, ქუთაისის ოპერის თეატრის სოლისტი ვიყავი, მაგრამ ჩავაბარე იტალიაში, ოზიმოს საოპერო ხელოვნების აკადემიაში, რომელიც ასევე წარმატებით დავამთავრე. ახლა ვეწევი აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას ევროპაში როგორც სპექტაკლებით, ასევე საკონცერტო რეპერტუარით.

ვმღეროდი ბავშვობიდან და ყოველთვის მინდოდა, მომღერალი ვყოფილიყავი. თავიდან საოპერო მომღერლობაზე არ ვფიქრობდი, რომ არა ერთი შემთხვევა, როდესაც მომისმინა ქალბატონმა გულიკო კარიაულმა და ამის შემდეგ მიმიყვანა ჩვენს უდიდეს მაესტრო ნოდარ ანდღულაძესთან. ასე დაიწყო ჩემი საოპერო გზა ამ საოცარ სამყაროში.

ჩვენს პროფესიაში ძალიან მნიშვნელოვანია პარტნიორი სცენაზე. როცა კარგი პარტნიორი გყავს, ერთმანეთს თვალებითაც უგებთ და შენც უფრო თავისუფალი ხარ ყველანაირად, ახდენ შენი თავის და სცენის სრულ რეალიზაციას და სპექტაკლიც შესაბამისი იქნება. ბედნიერი ვარ, რომ ბევრ კარგ პარტნიორთან მომიწია მუშაობა და, იმედია, მომავალშიც ასე იქნება.

საქართველოდან იმიტომ წავედი, რომ მინდოდა მეტი მესწავლა და მენახა. იტალია ოპერის სამშობლოა და აქ მოხვედრა და შენი გზის გაკვალვა ძალიან ძნელია. სამაგიეროდ, იტალიაში ძალიან იზრდები შემოქმედებითად, რაც ძალიან მნიშვნელოვანია მომღერლის დიდი წარმატებებისათვის.

საქართველოში დაბრუნებას აუცილებლად ვაპირებ. ჩემთვის ჩემი ქვეყანა და მსმენელი ყველაფერია და უდიდესი სიამოვნება, პატივი და პასუხისმგებლობაა საქართველოში სიმღერა. მინდა, აქ მიღებული ცოდნა და გამოცდილება ჩემს ქვეყანას გავუზიარო და გვერდში ვედგე ჩემი საქმით. ამისთვის ყოველთვის მზად ვარ.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# სამხრეთ აფრიკაში 138-კარატიანი თეთრი ალმასი იპოვეს



სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ნაპოვნია თეთრი ალმასი, რომლის წონამ 138,57 კარატი შეადგინა. ამ ინფორმაციას ადგილობრივი გამოცემა ალმასის მომპოვებელ კომპანია პეტრა დიამონდსიზე დაყრდნობით ავრცელებს. ძვირფასი ქვა კულინამის საბადოშია მოპოვებული.

ალმასის გასაყიდად გამოტანა კომპანიის აგვისტოს გაყიდვების ციკლის დროს იგეგმება, რომელიც იოჰანესბურგში გაიმართება.

ალმასის მომპოვებელი კომპანია პეტრა დიამონდსი სამხრეთაფრიკული კომპანიაა, რომელიც ამ ქვეყანაში ოთხ საბადოს ფლობს, ხოლო ერთსაც ტანზანიაში. კომპანია, გარდა ამისა, გეოლოგიურ დაზვერვით სამუშაოებს აწარმოებს ბოტსვანაში და ასევე წილს ფლობს კომპანია კიმბერლეი მინესში.

კულინამის საბადო კომპანიის უმთავრეს აქტივს წარმოადგენს. სწორედ იქ იქნა ნაპოვნი 1905 წელს უდიდესი ალმასი „კულინანი“ („აფრიკის ვარსკვლავი“). მისმა წონამ 3106 კარატი შეადგინა, ხოლო მისგან დამზადებულმა ბრილიანტებმა დიდი ბრიტანეთის მონარქის გვირგვინი და სკიპტრა დაამშვენა.

# ერიკ კლეპტონმა მეტრზე მეტი სიგრძის კალმახი დაიჭირა

ბრიტანელმა მუსიკოსმა და კომპოზიტორმა ერიკ კლეპტონმა ისლანდიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდინარე ვატნსდალსაუში თევზაობის დროს დაიჭირა კალმახი, რომლის სიგრძემ 108 სანტიმეტრი, ხოლო წონამ დაახლოებით 14 კილოგრამი შეადგინა.



აღსანიშნავია, რომ ეს ყველაზე დიდი კალმახია მათ შორის, რომელიც ამ ზაფხულს ისლანდიაში თევზაობის მოყვარულებმა დაიჭირეს.

სტრული ბირინსონის თქმით, რომელიც ისლანდიაში სათევზაო ტურების ორგანიზებითაა დაკავებული, მუსიკოსისა და თევზის დაპირისპირება 2 საათზე მეტხანს გრძელდებოდა. კლეპტონს კილომეტრზე მეტი მანძილის გავლა მოუხდა დინების დაყოლებაზე, რათა თევზი მოექანცა და წყლიდან ამოეყვანა.

აღსანიშნავია, რომ კლეპტონი თავგადაკლული მეთევზეა და ის ბოლო 8 წლის მანძილზე ყოველ წელს ჩადის ისლანდიაში სათევზაოდ.




# კენდალ ჯენერი ვოგის გარეკანზე გამოჩნდა

მოდელი კენდალ ჯენერი პირველად გამოჩნდა ამერიკული ჟურნალის ვოგის გარეკანზე. ცნობილი ჯენერი-კარდაშიანების ოჯახის წარმომადგენელმა ჟურნალის სექტემბრის ნომერი დაამშვენა.

ჟურნალის გარეკანის პრემიერისთანავე მოდელის ნათესავებმა ფოტოსურათის სოციალურ ქსელებში გამოქვეყნება და საკუთარი აღფრთოვანების გამოხატვა დაიწყეს.

– კენდალ, შენ ეს გააკეთე! შენ ეს მართლაც გააკეთე! ეს მხოლოდ დასაწყისია, პატარავ, – დაწერა სოციალურ ქსელში ქლოი კარდაშიანმა.

გარდა ამისა, ჯენერისთვის საზეიმო საღამო მოაწყო, რომელშიც მონაწილეობდნენ მოდელის დები კორტნი, კიმი და ქლოი კარდაშიანები, კაილი ჯენერი და ასევე დედა კრის ჯენერი.

# მოდელი ბარ რაფაელი გოგონას დედა გახდა



ებრაელი მოდელი ბარ რაფაელი გოგონას დედა გახდა, ხოლო ბავშვის მამა, მისი მეუღლე, ბიზნესმენი ადი ეზრაა.

გოგონა თელ-ავივის ერთ-ერთ საავადმყოფოში დაიბადა. ბავშვი 3,2 კილოგრამს იწონის და მას ლივი დაარქვეს.

რაფაელი არაერთხელ აღიარეს მსოფლიოს ყველაზე სექსუალურ ქალად. გათხოვებამდე ბარი ამერიკელ მსახიობ ლეონარდო დი კაპრიოს ხვდებოდა, ხოლო 2015 წლის სექტემბრიდან ის ეზრას მეუღლეა. ფეხმძიმედ ყოფნის თაობაზე მოდელმა განცხადება მიმდინარე წლის იანვარში გააკეთა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*


**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**


## სამგლოვიარო განცხადებები

პარმენ და ლევან ლემონჯავები ვიზიარებთ კვარაცხელიების ოჯახის მწუხარებას

**ომიკო კვარაცხელიას**

გარდაცვალების გამო და თანავუგრძნობთ ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## პროგრამა

**ოთხშაბათი 17 აგვისტო**

**07.30** დ/ფ "დიდებული სასახლეები" **08.00** ან/სერ. "მხიარული ფერმა" **09.00, 10.10** ოლიმპიადა – "რიო **2016**" (**16.08.2016**) **10.00, 12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "დღე მუზეუმში" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე** **14.00** "პირადი ექიმი" **15.00** "ფერმა" თემა **15.30** "სიტყვების თამაში" **16.30** "ოლიმპიური დღიური" **17.00, 20.50** ოლიმპიადა – "რიო **2016**"

**08.00, 16.00, 18.00** "ბრიფინგის დრო" **09.00** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **10.00** "გეოფაქტორი" **10.10** დ/ფ "ღვინო და მეცნიერება" **11.00** დ/ფ "ენტონი ბურდეინი წინასწარი შეკვეთის გარეშე" **12.00** ტ/სერ. "**ევას სამი ვარდი**" **13.00** "თოფ გიარი" **14. 00** მხ/ფ "**ოდრი ჰეპბერნის თავგადასავალი**" **16.30** დ/ფ "შიგნიდან დანახული კონკორდია" **17.20** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **18.30** ტ/სერ. "**ბედისწერის აჩრდილი**" **19.30** "ტელებლოგი" **20.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **21.00** ოლიმპიური დღიური -"ათენიდან ათენამდე" **21.40** ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" **22.40 ფეხბურთი** – ჩემპიონთა ლიგა" პლეიოფი: **00.40** "ნამდვილი დრო" **01.10** დ/ფ "ღვინო და მეცნიერება"

**06.00** სერ. "**დახურული სკოლა**" **07.00** სერ. "**ფიცი**" **08.00** სერ. "**თანხმობა**" **09.00** კულინარიული დუელი **10.00** სერ. "**ბამბის ველი**" **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00** ქრონიკა **11.20** სერ. "**ჟუმონგი**" **12.30** სერ. "**სიყვარულის ჟამი**" **2** სერ. **14.40** სერ. "**ფიცი**" **16.00** სერ. "**თანხმობა**" **17.00** ქრონიკა (**35** წთ) **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ელიფი**" **22.00** სერ. "**შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ** " **23.00** სერ. "**სპარტაკი" 2" 4** სერ. **00.00, 02.15, 04.15** მხ/ფ

**06.30** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **07.30, 12.30** სერ. "**გაბრიელა**" **08.45, 09.15** სერ. "**ინდიანა ჯონსის მემკვიდრეები**" **10.15** სერ. "**დინასტია**" **15.55** სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.45** სერ. "**ცხოვრების გზები**" **19.45, 20.05** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **22.00** კომედის კონცერტ **2016** (**2** ნაწილი) **23.00** სერ. "**ხელოვნური სუნთქვა**" **00.00** ქერის უბანი **00.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

**8.00** ან/სერ. - "**ავატარი**" **9.00, 19.30** სერ. "**მენტალისტი**" **10.00, 18.30** სერ. "**კარგი ცოლი**" **11.00, 2.30** სერ. "**გრეის ანატომია**" **13.00, 2.45** სერ. "**ძვლები**" **15.00** მხ/ფ "**ჰარი პოტერი და ცეცხლოვანი თასი**" **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.20** არჩევნები **2012** დაიჯესტი **20.30 20.30 21.30** მხ/ფ "**მცდარი მოსახვევი 2 – ჩიხი**" **23.20** სერ. "**ამერიკული საშინელებათა ისტორია**"

**06.15** დროის ჩანაწერები "ზურაბ გომელაური" **07.05** დ/ფ "ჭაუხი" **07.30** ჩვენი ფონდი "ჩვენამდე მოღწეული უძველესი დაფარნები" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" კოლაჟი. **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.30** დ/ფ "საქართველო XIX" **11.05** ერთხელ ბავშვობაში "მერაბ კოკოჩაშვილი" **11.30** მგზავრები წუთისოფლისა "წარსულის გამოძახილი" **12.10** ღია აუდიტორია **12.45** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია "ყარაბაღი" **13.30** საყმაწვილო ენციკლოპედია **14.30** დეკორატიული ფლორა "ვარდი" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ანიმაციური ფილმი **15.20** ღვთის სახლი "ჰერეთი" **15.45** დ/ფ "ზურაბი" **17.15** კონცერტი **17.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები-ესაია II ნაწ. **18.10** დ/ფ "ზიარების საიდუმლო" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**ამაღლება**" **20.40** ძილი ნებისა "ჯადოსნური კვერცხი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ღვთის სახლი "ოპიზის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სავანე" **21.35** გზა, რომლითაც ვიარე "ლადო ათანელი" **22.25** ქართული ალბომი **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო-სანთელი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ერთსულოვანი ოჯახი "ბურჯალიანები" **23.35** გამოყენებითი ხელოვნება "მინანქარი" **00.25** ისტორიის დღიური **01.00** მხ/ფ "**ენი მწვანე სახურავების მამულიდან**" **3** სერ.

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 0.30** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები"(ჟესტიკულაციით) **8.00** სერ. "**ქალთა ექიმი**" **10.05** სერ. "**ტატიანა**" **11.05** "ღამის კონტაქტი" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30** სერ. "**უკანასკნელი მაგიკიანი**" **13.00, 14.05, 1.00** სერ. "**გულს ვერ უბრძანებ**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **16.05, 17.05, 2.30** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.55, 19.05** სერ. "**მოლოდინის სია**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.35** სერ. "**ჯადოქარი**" **21.30** "ღამის კონტაქტი" **22.35** სერ. "**მახე**" **23.30** სერ. "**ფროიდის მეთოდი**"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


17 აგვისტოსთვის

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.3354

ევრო — 2.6096

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0169

100 რუსული რუბლი — 3.6278

**ამინდის პროგნოზი 17 აგვისტოსთვის**





## 16 აგვისტოდან

თედორე დოსტოევსკი

**ყმაწვილი**

ტომი I




ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

## 19 აგვისტოდან




თედორე დოსტოევსკი

**ყმაწვილი**

ტომი II

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი


## იუმორი



მამა და შვილი მანქანით მგზავრობენ. საჭესთან შვილი ზის და მამას ეკითხება:

– აბა, მამა, რას მეტყვი, უკვე კარგად ვატარებ მანქანას?

– შვილო, ტროტუარზე მდგომი მოკლეკაბიანი ლამაზი გოგონა თუ შენიშნე?

– არა.

– ჰოო, მაშინ ჯერ კიდევ არ იცი მანქანის ტარება.

ანეკდოტები

●●●

აფთიაქში ქალი კითხულობს:

– თაგვის წამალი გაქვთ?

– რისთვის გინდათ?

– ქმარი უნდა მოვწამლო.

– ასეთ შემთხვევაში ვერ მოგცემთ.

ქალმა ხელჩანთიდან სურათი ამოიღო, რომელზეც მისი ქმარი და აფთიაქარის ცოლი ერთად არიან დაფიქსირებულები.

– რახან რეცეპტი გქონიათ, წამალს მოგცემთ...

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– შენ ცოლთან თავს ბედნიერად გრძნობ?

– სხვა რა გზა მაქვს, რო?

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– საყვარელო, ვერ ვიძინებ და ზღაპარს ხომ არ მომიყვებოდი?

– მიყვარხარ, ძვირფასო, დაიძინე.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რატომაა, რომ მეფუტკრე, სკიდან თაფლის ამოღების დროს, სახეზე ბადეს იფარებს?

– ფუტკრებმა რომ არ იცნონ.

●●●

ტელეფონის ზარია:

– ალო, ეს ზოოპარკია?

– დიახ, გისმენთ.

– თქვენი ტელეფონის ნომერი მაშველებმა მომცეს.

– რაშია საქმე?

– იცით, ჩემთან, ბინაში გველია და როგორ მოვიქცე?

– ცხოველთა დაცვის საზოგადოების წევრი ხართ?

– არა.

– მწვანეთა პარტიაში ხართ?

– არა.

– მაშინ აიღეთ და ჯოხი დასცხეთ თავში.

●●●

ერთი ქალი მეორეს უყვება:

– ჩემს ქმარს ვუთხარი, რომ ისე ეკოცნა, თითქოს ჩვენი ბოლო კოცნა იყო.

– მერე?

– ის ნაძირალა ადგა და შუბლზე მაკოცა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**




მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.

## 18 აგვისტოდან

# ჩემი საყვარელი ორეული

ნინო ხარატიშვილი




ნინო ხარატიშვილის „ჩემი საყვარელი ორეული“ მოგვითხრობს რთული ოჯახური ურთიერთობებისა და მტკივნეული სიყვარულის ამაღელვებელ ამბავს.

„ჩემი საყვარელი ორეული“ ამაღელვებელი და მომნუსხველი დრამაა, რომელშიც აკრძალული ვნებისა და წარსულისაგან გათავისუფლების მცდელობის მსოფლიო თემებია ასახული.

რომანი 2011 წელს დამოუკიდებელი გერმანული გამომცემლობების პრიზით დაჯილდოვდა.

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი


## რომელი მუსიკით ტკბება ობამა ზაფხულში



აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ისაუბრა იმაზე, თუ რომელ მუსიკას უსმენს ზაფხულში. დღისა და საღამოს პლეი-ლისტები ქვეყნის მეთაურმა საკუთარ ტვიტერში გამოაქვეყნა.

მოცემულ სიაში დღის პლეი-ლისტში წარმოდგენილია ისეთი შემსრულებლები, როგორებიც არიან ჟანელ მონე, ჯეი ზი, მანუ ჩაო, ნინა სიმონი, პრინსი, არეტა ფრანკლინი, ბიჩ ბოისი.

საღამოს პლეი-ლისტში შევიდნენ მერი ჯეი ბლაიჯი, ბილი ჰოლიდეი, ფიონა ეპლი, მაილზ დევისი, ჯანეტ ჯექსონი.

ობამა ასევე დაინტერესდა, თუ რომელ მუსიკას უსმენენ მკითხველები.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ჟოაო აველანჟი 100 წლის ასაკში გარდაიცვალა



16 აგვისტოს 100 წლის ასაკში ფიფას ყოფილი პრეზიდენტი, ბრაზილიელი ჟოაო აველანჟი გარდაიცვალა.

აველანჟი ფიფას პრეზიდენტი 1974 წელს გახდა და ეს თანამდებობა 1998 წლამდე ეკავა. მისი პრეზიდენტობის დროს ფეხბურთში მნიშვნელოვნად იმატა ინვესტიციებმა, რამაც ამ სპორტის განვითარებას შეუწყო ხელი. ასაკის მომატებასთან ერთად, აველანჟის ჯანმრთელობის მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესდა და მას პნევმონიის დიაგნოზი დაუდგინეს.

მიუხედავად მისი ავადმყოფობისა, აველანჟის სიკვდილი მაინც მოულოდნელი იყო და ზუსტი მიზეზები ჯერჯერობით დადგენილი არ არის.

## ნაპოლი ტევესით დაინტერესდა



გონსალო იგუაინის წასვლის შემდეგ იტალიური კლუბი ნაპოლი ახალი ფორვარდის ძიებაშია. მისი ინტერესის სფეროში ბოკა ხუნიორსის თავდამსხმელი კარლოს ტევესი მოექცა, რომელიც სამშობლოში ერთი წლის წინ დაბრუნდა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ნაპოლიმ ტევესს წინადადებით მიმართა, თუმცა თვითონ ფეხბურთელს არგენტინაში დარჩენა სურს.

ნაპოლის გარდა, ტევესით მილანის ინტერიც დაინტერესდა და მილანელები მზად არიან, ამ ტრანსფერში ბოკა ხუნიორსს სოლიდური თანხა გადაუხადონ.

ტევესმა კარიერა სწორედ ბოკა ხუნიორსში დაიწყო და კარიერის ბოლოს მან მშობლიურ გუნდში დაბრუნება გადაწყვიტა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კლაუდიო ბრავო თითქმის მანჩესტერ სიტიშია



ბარსელონის ერთ-ერთი მეკარე კლაუდიო ბრავო ცალი ფეხით მანჩესტერ სიტიშია. ამის შესახებ ინფორმაციას ესპანური პრესა ავრცელებს. ბარსელონამ უკვე იპოვა მისი შემცვლელი და ეს ბრაზილიელი გოლკიპერი დიეგო ალვეშია, რომელიც ვალენსიის ღირსებას იცავს. უახლოეს დღეებში ალვეში ბარსელონის ფეხბურთელი გახდება.

რაც შეეხება კლაუდიო ბრავოს, მის ტრანსფერში მანჩესტერ სიტი 25 მილიონ ევროს გადაიხდის.

ბრავო მანჩესტერში ხუთშაბათს უნდა ჩავიდეს.

ალვეშის გარდა, ბარსელონა ვალენსიის კიდევ ერთი მოთამაშის, პაკო ალკასერის ყიდვასთანაც ახლოს არის.

ასე რომ, ბარსელონა სეზონს ბევრი ახალი ფეხბურთელით შეხვდება.

## უგო ლორისმა ტრავმა მიიღო

ტოტენჰემისა და საფრანგეთის ნაკრების მეკარემ უგო ლორისმა ევერტონთან შეხვედრის დროს ტრავმა მიიღო და ის თავის გუნდს ერთი თვის განმავლობაში ვერ დაეხმარება. ევერტონთან მატჩში ლორისი ძელს დაეჯახა, რის შემდეგაც მატჩის გაგრძელება ვერ შეძლო და მოედანი დატოვა. საბოლოოდ შეხვედრა 1:1 დასრულდა, ლორისს კი ერთი თვე დასვენება მოუწევს, რაც ტოტენჰემისთვის შესაძლოა სერიოზული პრობლემა გახდეს, რადგან ლორისი ბოლო წლებში ლონდონელების ერთ-ერთი ლიდერია.



მის ადგილს ტოტენჰემის მეორე მეკარე მაიკლ ვორნი დაიკავებს.

## რეალი ხამესის გაყიდვას აპირებს

ესპანურ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რეალი მზად არის, კოლუმბიელი ვარსკვლავი ხამეს როდრიგესი 75 მილიონ ევროდ გაყიდოს.

თავის დროზე რეალმა ხამესში სწორედ ეს თანხა გადაიხადა. ზინედინ ზიდანის მოსვლის შემდეგ კოლუმბიელმა ფორვარდმა ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა და ფრანგი სპეციალისტის გეგმებში ის არ შედის.



ხამესს ბევრი მსურველი ჰყავს და უახლოეს მომავალში მისი ახალი გუნდის შესახებ ცნობილი გახდება.

ხამესი რეალს 2014 წელს შეუერთდა და საკმაოდ კარგი პირველი სეზონი ჩაატარა, თუმცა ტრავმებმა მის თამაშზე ნეგატიური გავლენა მოახდინა და მან ოპტიმალური ფორმის აღდგენა ვეღარ შეძლო.

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. თავისუფალ ფერმერთა გაერთიანება ისრაელში; 2. თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ქურა; 3. ჭადრაკის წინამორბედი ინდურ მაგიდის სათამაშო; 4. კომბინაცია პოკერში; 5. სამხრეთ ამერიკის მთიანეთში ბინადარი დიდი მტაცებელი ფრინველი; 8. სასადილო-სავაჭრო ძველად; 9. ხაშურის ძველი სახელწოდება; 12. ქვის, ღორღის დამაქუცმაცებელი მანქანა; 14. ცხვირის ღრუს ლორწოვანი გარსის ანთება; 16. საშობაო სიმღერა.

**თარაზულად**: 1. გარკვეული სისტემით დალაგებული ბარათები, რომლებიც შეიცავს რაიმე სახის ცნობებს, ინფორმაციას; 6. ისტორიული რკინიგზის ვაგზალი ლონდონში; 7. აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი; 9. ზღვის ლაბისებრი ცხოველი; 10. ხერესის მარკის ღვინოების მწარმოებელი ესპანური ფირმა; 11. ტბა საქართველო-თურქეთის საზღვარზე; 13. საცხოვრებელი მასივი თბილისში; 15. ძველ რომაელთა ტანსაცმელი; 17. გადასახადებისაგან გათავისუფლებული ყმა ძველად საქართველოში; 18. მაღალხარისხოვანი პერგამენტის ქაღალდი; 19. საფრანგეთის ფეხბურთელთა გუნდი; 20. ქართული ჟურნალი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*





ლურჯი წითელი ყვითელი შავი